პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და-მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე-3 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 მე-2 სართული ტელეფ. 5-43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

რურის ოლქში საოკუპაციო ჯარი [illegible] მცხოვრებლებისადმი; მათ მიერ უკვე დაკავებულია რურის მთელი რკინის გზა

საფრანგეთი და ბელგია ბრიუსელის კონფერენციაზე უკვე შეთანხმდენ რურში ერთად მოქმედების შესახებ.

ნორვეგიამ საბჭოთა რუსეთს გადმოუგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ნორვეგია მიილტვის საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისაკენ.

გამოქვეყნდა ბალდვინის ახალი გეგმა ინგლისის მოქმედების შესახებ გერმანიის მიმართ.

№ 124 პარასკევი 8 ივნისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000 მან. № 19

18 ივნისს მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესია.

სესიის დღის წესრიგი:

1) დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებისა.
2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3) სამოქალაქო კოდექსი.
4) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა.
5) აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.
6) ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შემოღება.
7) თიანეთის მაზრის შემოერთება დუშეთის და თელავის მაზრებზე.
8) საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.
9) საქართველოში შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შესახებ.
10) მიმდინარე საკითხები.

ს. ს. ცაკის მდივანი: პ. ხაბაშვილი.

ორშაბათს, 11 ივნისს; საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია თბილისის საბჭოს გაფართოებული სხდომა, ქარხნების, ფაბრიკების და ადგილკომების წევრების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელია ამხ. მამია ორახელაშვილი.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

აღმასკომის პრეზიდიუმი.

კვირას, 10 ივნისს, დილის 11 საათზე ალექსანდრეს ბაღში დანიშნულია სახალხო მწერლის მარქსისტ

ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილის)

ძეგლის გახსნა.

ძეგლს გახსნის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. სიტყვებს წარმოსთქვამენ: ამხ. მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, რაჟდენ კალაძე, მიხა ჩოდრიშვილი, კახიანი, იოსებ კაკაბაძე, თედორე კალანდაძე და სხვ.

ყველა დელეგაციები ბაირაღებითა და ორკესტრით, უნდა შეიკრიბნენ მუშათა სასახლესთან სწორეთ დილის 11 საათზე.

ძეგლის გახსნაზე, მუშათა და წითელარმიელთა დელეგატების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ყველა წევრები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები.

პოლონეთში

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, პოლონეთში დაეცა სიკორსკის კაბინეტი და შესდგა ახალი მთავრობა ვიტოსის მეთაურობით.

ახალი მთავრობა ემყარება სამი პარტიის ბლოკს—ნაციონალ დემოკრატების, ქრისტიან-დემოკრატების და ე. წ. პიატოვცების ე. ი. მსხვილი მემამულეების, მრეწველების და კულაკ-გლეხობის კავშირს. ესაა აშკარა ფაშისტური დიქტატურის დამყარება პოლონეთში და ამასთან მაჩვენებელი ნაციონალურ დამოკიდებულებათა უფრო მეტი გამწვავებისა.

ყოფილ პრემიერ სიკორსკის მხარს უჭერდნენ საშუალო, ლიბერალური ჯგუფები და „პეპეესოვცებიც", აგრეთვე ნაციონალური უმცირესობანი.

სიკორსკის დამხობა იმას მოასწავებს, რომ საზოგადოების საშუალო წრეებს, საშუალო მიმდინარეობას, როგორც ბევრ სხვა ქვეყნებშიც, პოლონეთშიც გამოეცალა ნიადაგი; ისინი შეჯგუფდნენ ორი ძირითად და მთავარ მებრძოლ სოციალურ ძალების და ორგანიზაციების გარშემო: ესენი არიან, ერთი მხრივ, რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი პარტია—კომუნისტური პარტია; მეორე მხრივ ფაშისტური ბურჟუაზია და რეაქციონური პანები. დღეს დღეობით დროებითი გამარჯვება ერგოთ ფაშისტებს.

მათ ნიადაგი მოუმზადა სიკორსკის კაბინეტმა. ის ცდილობდა მემარჯვენე პარტიების გულის მოგებას და რევოლიუციონურ პროლეტარიატის და კომუნისტების წინაამდეგ სასტიკ რეპრესიებს ეწეოდა. კომუნისტების დევნა და საპატიმროებში დამწყვდევა, პროფკავშირების დარბევა, მუშათა პრესის ჩახშობა, ერთი მხრივ, — ფაშისტებისათვის თავისუფალი მოქმედების საშუალების მინიჭება—მეორე მხრივ—აი დამხობილი კაბინეტის შინაური პოლიტიკა. ამასთან ალსანიშნავია მისი დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობებისადმი. ამ უკანასკნელებმა ხმა მისცეს სიკორსკის, რათა აეცილებინათ უარესი შემთხვევა, „ჭეშმარიტ—პოლონელების", ნაციონალ დემოკრატების გაბატონება. მაგრამ ნაციონალურ უმცირესობათა იმედი არ გამართლდა. მემარჯვენე ჯგუფების შიშით, სიკორსკის ცდა არ დაუკლია მცირე ხალხების შესავიწროებლად. და მისი ბედი გადასწყვიტა ამ უმცირესობათა მიერ უნდობლობის გამოცხადებამაც.

პოლიტიკა ახალი, ფაშისტური მთავრობის ამ თავითვე გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. ეს იქნება ცდა მუშათა კლასის სრული დამონების, ცდა მისთვის იმ ელემენტარულ უფლებების წართმევის, რომელნიც მან მოიპოვა ხანგრძლივი ბრძოლით. პოლონეთის ახალ მესვეურებს ჯერ-ჯერობით ნიშანში აქვთ ამოღებული 8 საათის სამუშაო დღე, რომელიც, მათი აზრით, უნდა იქნას გაუქმებული. არ მოსწონთ მათ შრომის სამინისტროს არსებობაც. ამასთან მთავრობა შეეცდება ძირშივე ჩაკლას მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ნასახიც.

უკეთესი დღე არ დაადგება მშრომელ გლეხობასაც. მმართველ პარტიებს აზრად აქვს შეაჩერონ გატარება იმ ისედაც შეკვეცილ აგრარულ რეფორმის, რომელიც მიიღო დამფუძნებელმა სეიმმა. მიწა შეიძლება მიეცეს იმას, ვინც გადიხდის მისთვის სრულ, ომის წინანდელ ფასს და ვისაც მასთან აქვს საკმაო ინვენტარი —ასე აცხადებენ დღეს გაბატონებული ჯგუფები. კურსი აღებულია კულაკ-გლეხობაზე, უმაწყლო და მშრომელ გლეხობას კი ძველებურად არავინ უწევს ანგარიშს.

აგრეთვე ჩვენ უნდა მოველოდეთ პოლონეთში მოსახლე მცირე ერების დევნის და შევიწროების უფრო გაძლიერებას. ნაციონალ-დემოკრატები შეეცდებიან გაატარონ ცხოვრებაში თავიანთი ლოზუნგი: „პოლონეთი მხოლოდ პოლონელებისათვის".

საგარეო პოლიტიკის სფეროში ჯერ - ჯერობით რაიმე არსებითი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. კერძოდ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ ვიტოსმა თავის დეკლარაციაში განაცხადა, რომ პოლონეთი რჩება „კომუნიზმისაგან ევროპის დამფარველ კედლად", შემდეგ დასძინა, რომ ახალმთავრობას სურს რუსეთთან იქონიოს მშვიდობიანი ურთიერთობა რიგის ხელშეკრულების საფუძვლებზეო.

რომ პანების პოლონეთს, როგორც ბუფერს, დაკისრებული აქვს შეჩერება აღმოსავლეთიდან მომდინარე რევოლიუციონური ტალღის და დაცვა დასავლეთის ბურჟუაზიულ წყობილების, ეს თავის თავად ცხადია და განმეორებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება ვიტოსის „კეთილ" სურვილს რუსეთთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარების შესახებ, უნდა ითქვას, რომ დღემდე ფაქტები სულ წინაამდეგს მეტყველობდნენ. მომავალი გვიჩვენებს, ვიტოსის „მშვიდობიანი განზრახვების" ღირებულებას. ყოველ შემთხვევაში პოლონეთის დღევანდელ მმართველებს ჯერ - ჯერობით არ შეუძლიათ აშკარა თავდასხმა საბჭოთა რესპუბლიკაზე. ამისათვის არ არის „ხელსაყრელი პირობები", არც საერთაშორისო, არც რუსეთის შინაური მდგომარეობის თვალსაზრისით.

კაბინეთის შეცვლა პოლონეთში უმთავრესად ნიშნავს ამ ქვეყნის შინაური პოლიტიკის ცვლას, მის უფრო გამემარჯვენებას.

პოლონეთში ფაშიზმი მკაცრ შეტევას აწარმოებს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის წინაამდეგ ცხოვრების მთელ ფრონტზე.

კომუნისტურ პარტიას იქ უხდება უსწორო და თავგანწირული ბრძოლის წარმოება.

მაგრამ ბრძოლაში გამობრძმედილი ჩვენი პარტია და რევოლიუციონური მშრომელი მასსები შესძლებენ ამ იერიშების ატანას. ისტორიულად სასიკვდილოდ განწირული ფაშიზმი ვერ მოახერხებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ - განმათავისუფლებელ მოძრაობის მოსპობას.

წერილები კოოპერაციაზე

II.

დღეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ კოოპერაცია კაპიტალისტურ წარმოებისა და საზოგადოთ კაპიტალისტურ წესწყობილების დროს კაპიტალისტური საწარმოვო დაწესებულებაა თავისი **არსებითი ხასიათით** მართალია ის ბევრათ განირჩევა კერძო კაპიტალისტურ წარმოებისაგან, მაგრამ არსებითად მაინც ის ბურჟუაზიულ სახელმწიფოში აგებულია კაპიტალისტურ ნიადაგზე, ემორჩილება წარმოების კაპიტალისტურ წესს.

სულ სხვა ხასიათისაა და სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა კოოპერაციას პროლეტარულ სახელმწიფოში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურაა, მთელი სახელმწიფო ხელისუფლება მშრომელთა მასსების ხელშია. ასეთია დღეს რუსეთი და სხვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ასეთ რესპუბლიკებში საფუძვლიანათ იცვლება კოოპერაციის ხასიათი და დანიშნულება. „ჩვენში ამბობს ამხ. ლენინი,— ნამდვილათ, რადგან სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასის ხელში იმყოფება, რადგან ამ ხელისუფლებას ეკუთვნის წარმოების ყველა საშუალებები, ჩვენში ნამდვილად ამოცანათ დარჩა მცხოვრებთა კოოპერატიული შეკავშირება. თუ მოხერხდა მცხოვრებთა მაქსიმალური შეკავშირება კოოპერატულათ, ამით მიზანს მიაღწევს ის სოციალიზმი, რომელიც წინათ სამართლიან დაცინვას და უყურადღებობას იმსახურებდა იმ ხალხის მხრივ, რომელიც დარწმუნებული იყო სამართლიანათ კლასიური ბრძოლის, პოლიტიკურ ხელისუფლებისათვის ბრძოლის და სხვადასხვა აუცილებლობაში". („კომუნისტი", 2 ივნისი).

ამ გვარათ, როგორც ამხ. ლენინი გვასწავლის, ჩვენში, ე. ი. პროლეტარიატის რესპუბლიკებში „მიზანს მიაღწევს ის სოციალიზმი, რომელიც წინად სამართლიან დაცინვასა და უყურადღებობას იმსახურებდა".

როგორ და რა გზით? განა ჩვენში არაა კიდევ რამდენიმეთ კაპიტალისტური წარმოება? განა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ცხოვრებაში ჩვენი ხელისუფლება იმის დასამტკიცებელი არაა, რომ აქაც კოოპერაცია უნდა იქნეს აგებული კაპიტალისტურ წესზე და უნდა დაემორჩილოს მის კანონებს.

პირიქით, სწორეთ იმიტომ, რომ ჩვენში დღეს ტარდება ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში კიდევ არის რამდენიმეთ კაპიტალისტური წარმოება, საქონლის წარმოება, უდიდესი და დაუფასებელი მნიშვნელობა ეძლევა კოოპერაციას. სწორეთ ამიტომაცაა, რომ კოოპერაციის განვითარებით „მიზანს მიაღწევს ის სოციალიზმი, რომელიც წინათ სამართლიან დაცინვასა და უყურადღებობას იმსახურებდა".

მართლაც როგორია ვითარება დღეს ჩვენში, დღეს, როდესაც დამხობილია კაპიტალისტებისა და მემამულეების, ერთი სიტყვით, ბურჟუაზიის ხელისუფლება და დამკვიდრებულია პროლეტარიატის დიქტატურა? — კერძო საკუთრება, ესეიგი საკუთრება მემამულეებისა და კაპიტალისტებისა საწარმოვო საშვალებებსა და იარაღებზე (მიწაზე, ფაბრიკებზე, ქარხნებზე, ზღვისა და ხმელეთის ტრანსპორტზე და სხვა და სხვა) მოსპობილია; დღეს ყველა ეს საწარმოვო საშვალებები და იარაღები პროლეტარიატის სახელმწიფოს ხელშია, ე. ი. არსებითად მთელი მშრომელთა მასსების ხელში. ეს კი მხოლოთ დამხმარე საიმედო ძალა იქნება კოოპერაციის ხელში კერძო კაპიტალისტებისა და საზოგადოთ კერძო მწარმოებლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კი ეს ძალა კაპიტალისტებისა და მემამულეების და მათი სახელმწიფოს ხელშია, და ცხადია დამცველიც იქნება სწორეთ მათი და არა კოოპერაციის.

„და მართლაც,—გვეუბნება ამხ. ლენინი,—რომ სახელმწიფოს ხელში არის წარმოების ყველა მსხვილი საშვალებები, რომ პროლეტარიატის ხელში არის სახელმწიფო ხელისუფლება, რომ ამ პროლეტარიატს კავშირი აქვს დადებული მრავალ მილიონიან წვრილ და ღარიბ გლეხობასთან, რომ უზრუნველყოფილია ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობა გლეხობაზე და სხვ.—განა ეს არ არის ყველაფერი ის, რაც საჭიროა, იმისთვის, რომ კოოპერაციით, მარტო კოოპერაციით, რომელსაც წინეთ ჩვენ დავცინოდით, როგორც ვაჭრულს, რომლის დაცინვის საბუთი ნაწილობრივ გვაქვს ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებშიც აგრეთვე, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლათ? ეს კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი და საკმაო, რაც საჭიროა მის ასაშენებლათ". („კომუნისტი" 3 ივნისი).

ამ გვარათ, ეს არ არის სოციალიზმი, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც საჭიროა სოციალიზმის ასაგებათ, ე. ი. ეს არის არა **სოციალიზმი**, არამედ ის „სოციალიზმი", რომელზედაც ოცნებობდენ „ძველი კოოპერატორები", და რომლის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ პროლეტარიატის სახელმწიფოში.

როგორც ვთქვით დღეს ჩვენში კოოპერაციის მხარეზე არის ისეთი დიდი ძალა, როგორიცაა სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლება, როგორიცაა პროლეტარიატის მიერ გასახელმწიფოებრივებული საწარმოვო საშუალებები და იარაღები. ასე რომ დღეს კოოპერაციას შეძლება ეძლევა სისრულეში მოიყვანოს ის „მიზანი, ის სოციალიზმი, რომელიც წინეთ სამართლიან დაცინვასა და უყურადღებობას იმსახურებდა". დღეს მას შეძლება ეძლევა სერიოზულათ შეებრძოლოს რამოდენიმეთ ჩვენში ჯერ კიდევ არსებულ კაპიტალისტურ წარმოებას და მტკიცედ გაუმაგროს წელი და გააფართოვოს ის ჩვენი ნორჩი სოციალისტური წარმოება, რომელიც ჯერ კიდევ კარგათაც არაა ფეხადგმული.

სოციალიზმის დროს წარმოება ხომ არ ისპობა, პირიქით მას მაშინ კიდევ უფრო მეტი გასაქანი და ფართო განვითარება ეძლევა, მაგრამ ის სოციალიზმის დროს კარგავს თავის უარყოფით მხარეებს, რომელიც ჩაუნერგა მას კაპიტალიზმმა, ე. ი. მშრომელ მასების დამონებისა და დაჩაგვრის მხარეებს. სოციალიზმის დროს წარმოებაში მონაწილეობას მიიღებს მთელი ხალხი, მაგრამ ეს მონაწილეობა იქნება არა ძალადევი, არა დამონებისა და დაჩაგვრის, არამედ თავისუფალი და მას ექნება მიმზიდველობითი ხასიათი. მაშინ საზოგადოების ყოველი წევრი სრულიად ნებაყოფლობით, მაგრამ აუცილებლათ კი, მიიღებს მონაწილეობას მთელი საზოგადოებისათვის საჭირო მოსახმარი საგნების დასამზადებლათ.

და აი კოოპერაციამაც სწორეთ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ასეთ სოციალისტურ წარმოებას, მან უნდა შეაკავშიროს თავის რიგებში კოოპერატიულათ და მასთან ნებაყოფლობით ნიადაგზე ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელი მასები და უმთავრესათ კი გლეხობა, ვინაიდან ის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ნაწილია. მასების ასეთი შეკავშირება მით უფრო მეტადაა საჭირო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ვინაიდან ეს ნიადაგს აცლის მას.

ქ. კომუნაძე.

რადიო-დეპეშები

რუსეთი და ინგლისი

„მთელი ევროპა არ უნდა დაიტანჯოს კერზონის ჯიუტობის გამო".

ლონდონი. 5 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენ"-ი სწერს: „რუსეთთან განხეთქილების საფრთხე არ არის განვლილი. რუსეთში დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისი ეძებს განხეთქილებას. ეს აზრი გაბატონებულია იმის გამო, რომ **კერზონმა ხელახლა წარადგინა მოთხოვნილება დაკარგული ქონების ანაზღაურების შესახებ,** უარი სთქვა რუსეთის მიერ მოთხოვნილ კონფერენციაზე და **დაუინებითი პოზიცია დაიკავა პროპაგანდის საკითხში, რის გამოც ნოტა არ წააგავს ჩვეულებრივ მიმართვას ერთი დიდი სახელმწიფოსი მეორესადმი.** გასაკვირი არ არის, რომ კერზონის მემორანდუმმა რუსეთში არა სასიხარულო შთაბეჭდილება გამოიწვია. ნუ თუ მთელი ევროპა – სწერს გაზეთი,—უნდა იტანჯოს მოსალოდნელი უთანხმოებით მიტომ, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ანტიპატიურად უცქერის ერთ სახელმწიფოს".

„რუსეთ - ინგლისის განხეთქილება დიდი შეცდომა იქნებოდა".

ლონდონი. 5 ივნისი. მეღითონეთა საერთაშორისო კონფერენციის რეზოლიუციაში რუსეთის საკითხის შესახებ ნათქვამია: **„რუსეთ-ინგლისის სავაჭრო შეთანხმების შეწყვეტა იქნებოდა დიდი შეცდომა.** პირიქით, საჭიროა შეთანხმების გამარტივება და გაფართოება. რუსეთს უნდა გაეწიოს დახმარება მთელი მსოფლიოს ეკონომიური აღდგენის მიზნით".

თუ.....

პარიზი. 7 ივნისი. ლონდონიდან მიღებული ცნობით, თუ კერზონი და კრასინი შეთანხმდენ, ჩიჩერინი ჩავა ლონდონში მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

რურის ოლქის ოკუპაცია

რური საფრანგეთის ჯარების რკალში

პარიზი. 6 ივნისი საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს სადგურები გერუე, ვანნე, გილზენკირხენი და ალტენესსენი. ამ რიგად მთელი რურის ოლქი გარშემორტყმულია საფრანგეთის ჯარების მიერ. რკინის გზელებს წინადადება მიეცა ან გამოსთქვან თანხმობა სამუშაოზე დარჩენის, ან 48 საათის განმავლობაში დასტოვონ რურის ტერიტორია.

როგორ აღრჩობენ პრესას

ბერლინი. 7 ივნისი. მაინში ოკუპანტების რეპრესიულმა ზომებმა გერმანიის პრესის წინააღმდეგ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებმა აკრძალა 68 გაზეთის გავრცელება, რის გამო მრავალი მათგანი იძულებული გახდა არსებობა შეეწყვიტა. ოკუპაციის დღიდან აკრძალულ გაზეთების სახელწოდება 2000 აღემატება. ამას უნდა დაემატოს კიდევ გერმანიისა და უცხოეთის 400 აკრძალულ პერიოდულ გამოცემათა სახელწოდება, რომლებიც რურის საზღვრებს გარეთ გამოდიან. ამ ჟამად ოკუპაციით დაკავებულ რაიონებში დარჩა აუკრძალავი 1.310 გაზეთი. ეს პატარა სტატისტიკური ცნობები ნათლათ გვიჩვენებს თუ როგორ ავრცელებს „ფრანგულ კულტურას" საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობა.

ამერიკელი მეთვალყურე.

ბერლინი. 7 ივნისი, რეინლანდში მყოფი ამერიკელი კომისარი კობლენცში ჩავიდა რურის მდგომარეობის გამოსაძიებლად.

„ტაიმს"-საც კი ეჩოთირება.

ბერლინი. 7 ივნ. „ტაიმს"-ი ცხარეთ აკრიტიკებს საფრანგეთის არაჩვეულებრივ ტერორს რურში.

ბურჟუაზიული გაზეთები ხარობენ.

პარიზი. 7 ივნისი. ბურჟუაზიული გაზეთები სიხარულს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ბრიუსელში **საფრანგეთმა და ბელგიამ სრულს შეთანხმებას მიაღწიეს რურის ოკუპაციის საკითხში.**

უკანასკნელ მიწა წყალსაც იერთებენ.

ბერლინი 7 ივნისი. **ფრანგებმა 5 ივნისს დაიჭირეს უკანასკნელი ხარკინისგზო შტო გერნე-ალტერანესენ-დორტმუნდი.** ამის გამო მთელი სამრეწველო კუთხე გერნედან დორდსმუნდამდე, იძულებულია მხოლოდ ელექტრონული ტრამვაის საშუალებით იქონიოს ერთმანეთთან მიმოსვლა. ოკუპანტებს განზრახვა აქვთ ეს ახალი შტოც სამხედრო უწყებას დაუქვემდებაროს და რკინის-გზათა საერთო ქსელს შეუერთოს, რომელიც საფრანგეთ-ბელგიის საერთო მმართველობას ემორჩილება. ამბობენ, რომ ამ შტოს დასაკუთრების შემდეგ ოკუპანტები დაეპატრონებიან ამ შტოს ორსავე მხარეს მდებარე რაიონის მაღაროებსა და ქარხნებსაც.

ვერ მოახერხეს.

ბერლინი. 7 ივნისი. საფრანგეთის მთავრობა ათასი დაპირებებით შეეცადა ახლად დაჭერილ შტოს რკინისგზის მუშა-მოსამსახურეთა მიმხრობას და სამსახურში დატოვებას, მაგრამ ვერ მოახერხა.

რკინის-გზელებმა უარი განაცხადეს ოკუპანტებთან სამსახურზე და ანგარიშის გასწორება მოითხოვეს.

ქალაქის ფულის მითვისება.

პარიზი. 7 ივნისი. კობლენციდან **იტყობინებიან, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ მიითვისა ქალაქის სალაროში შენახული 44 მილიონი მარკა.**

ინგლისის ახალი გეგმა

ბალდვინის მოსაზრებანი.

ლონდონი. „ტაიმს"-ი მოწინავე წერილში ეხება ბალდვინის უახლოეს პოლიტიკურ გეგმას და სწერს: ბალდვინს განზრახული აქვს რაც შეიძლება ჩქარა გადასწყვიტოს ევროპის დღეს წამოყენებული ფინანსიური საკითხები, ასეთი საკითხები ბევრია, მაგრამ ძირითადს საკითხს წარმოადგენს გერმანიის საკონტრიბუციო ვალდებულებათა საკითხი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადასწყდეს. საკონტრიბუციო საკითხი, რამდენადაც კი შეიძლება, უნდა გამარტივდეს, რომ მისი გადაჭრა გაადვილდეს. კერძოდ ეს საკითხი არ უნდა დაისვას საფრანგეთის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ეს საკითხიც ფრიად მნიშვნელოვანია. საკონტრიბუციო საკითხი მთლიანად უნდა იქნეს განხილული რაც შეიძლება დადინჯებით და ეს საკითხი პოლიტიკურ საკითხად არ უნდა გადიქცეს: ეს არის ეკონომიური და იგი ეკონომიურის გზით უნდა გადასწყდეს. სწორედ ამ თვალსაზრისით აპირებს ახალი პრემიერი ამ საკითხის გარკვევას.

ბონარ-ლოუს გეგმა გაცილებით უფრო ხელსაყრელი ხასიათისა იყო საფრანგეთისათვის, ვიდრე ეს მაშინ სჩანდა. მაგრამ პუანკარე იმ დროს არ იყო განწყობილი საკითხის დინჯი გადაწყვეტისათვის. ამ ჟამად უმთავრესი მნიშვნელოსა იმას ექნება, რომ ახალმა კაბინეტმა საკონტრიბუციო საკითხში ისეთი დიპლომატიური ტაქტით იმოქმედოს, რომ საფრანგეთის სურვილები ეკონომიურ ფაქტებს შეუთანხმოს, რადგანაც ამ ორი მხარის შეთანხმება არც ისეთი ადვილი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ბალდვინს არ გაუძნელდება ამ საკითხის გადაწყვეტა კერზონისა და მაკ-კენნის თანამშრომლობით.

გერმანია და ანტანტა

ინგლისის პრესა საკონტრიბუციო საკითხის პერსპექტივების შესახებ.

ლონდონი 6 ივნისი. იმის გამო, რომ მოსალოდნელია ინგლისის უფრო აქტიური გამოსვლა საკონტრიბუციო საკითხში და რურის კონფლიქტში, ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ ეხლა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი უფრო შემარიგებელია, ვინემ ის წინედ იყო. ინგლისის გაზეთების აზრით, ის მიესალმება ყოველგვარ ღონისძიებას, რათა თავიდან იქნეს აშორებული ფინანსიური ქაოსი, რომელიც ემუქრება როგორც საფრანგეთს, ისე გერმანიას. პრესა ფიქრობს, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორც მაგალითად ბრიანს და სხვ. აქვთ საკმაო გამბედაობა განაცხადონ, რომ **რურის ოკუპაციამ დღემდე არ გამოიღო მატერიალური შედეგები,** რომელთაც მოელოდენ აქედან და რომ **ის უფრო და უფრო ემუქრება საფრანგეთს პოლიტიკური იზოლაციით.** თუმცაღა ეხლა პირობები ხელს უწყობენ საკონტრიბუციო საკითხის ხელ ახლა განხილვას, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებები რჩება იმისთვის, რომ საფრანგეთის მოთხოვნილებანი ეფარდებოდეს იმას, რის მოცემაც შეუძლია გერმანიას და რომ საფრანგეთი დაითანხმონ რურის ევაკუაციაზე გერმანიისათვის შესაძლებელი კომპენსაციის პირობით, რომლის ვადა გაგრძელდება 4—5 წელს. ინგლისის პრესის აზრით, საკონტრიბუციო საკითხი, დაკავშირებულია მოკავშირეთა ვალების საკითხთან. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთი დაიჟინებს მოთხოვნილებათა შემცირების შეუძლებლობას, ვინაიდან გერმანიიდან მისაღები გადასახადი გამოყენებული უნდა იქნეს ინგლისის და ამერიკის ვალების გადახდისა და საფრანგეთის დანგრეულ ოლქების აღდგენისათვის.

ბელგიის გეგმა.

ლონდონი. 6 ივნისი. ინგლისის პრესის ცნობით, ბელგიის მთავრობა ადგენს ახალ გეგმას საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად. ამ გეგმის მიხედვით, გერმანიის გადასახადი უზრუნველყოფილი იქნება მოკავშირეების კანტროლით გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფო შემოსავალზე, კერძოდ საბაჟოს, რკინის გზების, თამბაქოს მონოპოლიის და სხვა ამ გეგმის წინააღმდეგ არის წამოყენებული რამოდენიმე მოსაზრება. პირველად აღნიშნავენ, რომ უცხოეთის კანტროლი აღნიშნულ შემოსავალზე გერმანიას არ მისცემს დიდ მატერიალურ რესურსებს და ეს გამოიწვევს მხოლოდ პოლიტიკურ გართულებას. მეორედ აღნიშნავენ, რომ შემოსავალი ჩამოთვლილ მონოპოლიებისაგან გამოანგარიშებულია ქაღალდის მარკებით, რაც გამოიწვევს დიდ დაბრკოლებებს ოქროს მარკაზე გადატანის დროს და ამ რიგად აირ დაირევა ანგარიშები, რაც საბოლოოდ გაართულებს საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრას.

საკონტრიბუციო საკითხი

გერმანიის ნოტა.

ბერლინი. 6 ივნისი. გერმანიის ნოტა საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ახალი წინადადებებით მოკავშირეებს გადაეცემა ხუთშაბათს. „დეილი ნიუზის" ცნობით მოკავშირეებს განზრახვა აქვთ ივნისის დამლევს შეიკრიბონ გერმანიის წინადადებების განსახილველათ. მოკავშირეების კონფერენციის შემდეგ მოწვეული იქნება ახალი კონფერენცია გერმანიის მონაწილეობით, სადაც საბოლოოთ გაირჩევა საკონტრიბუციო საკითხი. „ეკო დე პარის" ცნობით ბალდვინი ჩავა პარიზში მოკავშირეთა კონფერენციის გახსნამდი.

სპეკულიანტები თავს იმართლებენ.

პარიზი. 7 ივნისი. რეიხსტაგში მარკის კურსის დაცემის მიზეზის შესახებ მოხსენება გააკეთა რეიხსბანკის დირექტორმა გავენშტეინმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის ვალი, გარდა საკონტრიბუციო გადასახადისა უდრის 750 მილიონ ოქროს მარკას. ფინანსისტი ექსპერტები შემცდარათ თვლიან აზრს, თითქოს მრეწველების და კომერსანტების ხელში თავმოყრილია უფრო მეტი უცხოეთის ვალიუტა ვიდრე ეს მათთვის არის საჭირო.

ოპტიმიზმი ნელდება.

პარიზი. 7 ივნისი. „ტან"-ი აღნიშნავს, რომ ბალდვინის უკანასკნელი განცხადებით აღმართული იმედიანობა, ბერლინიდან მიღებულ ცნობების გამო, თანდათან ნელდება, რადგანაც კუნო მომავალ ნოტაში არ აღნიშნავს არავითარ საკონტრიბუციო თანხას. ინგლისის გაზეთების აზრით, კუნო ამით დიდ შეცდომას აკეთებს.

თუ არ შესწყდება პასიური წინააღმდეგობა.

ლონდონი. 6 ივნისი. „ტან"-ი აცხადებს: მოკავშირენი სრულებით არ განიხილავენ გერმანიის ახალ „ნოტით წარდგენილ წინადადებებს, თუ არ იქნება მოხსენებული, რომ გერმანიის მთავრობა ხელს იღებს პასიურ წინააღმდეგობაზე.

ბრიუსელის კონფერენცია.

პარიზი. 6 ივნისი. გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე და 45 წუთზე ბრიუსელში მოხდა თათბირი პუანკარესა, ტენისსა და ჟასპარის შორის. ცოტა ხნის შემდეგ გაიმართა კონფერენციის სხდომა ყველა წარმომადგენელთა და ექსპერტების მონაწილეობით. საფრანგეთის გაზეთები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ მომხდარ თათბირს და იმედს გამოსთქვამენ, რომ პუანკარე ხვალე დაბრუნდა პარიზში.

ლონდონის წრეებში.

ბერლინი. 7 ივნისი. გერმანიის ახალი ნოტის მოლოდინში, ლონდონის წრეებს იმედი აქვთ, რომ ახალს ნოტას უფრო კარგი ბედი ეწევა, ვიდრე წინანდელს.

დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ბრიუსელის თათბირს, რომლისაგანაც მოელიან საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად ძირითად საფუძვლის განმარტებას. დღეს ინგლისის კაბინეტი განიხილავს საკონტრიბუციო საკითხის გარშემო შექმნილ მდგომარეობას. ალბად, ზერზინიც გამოვა დღეს მოხსენებით ზედა პალატაში ამავე საკითხის შესახებ. აქედან ცხადია, რომ ინგლისის თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ დროზე მიაღწევს ბრიუსელამდე.

სცდილობენ ანტანტის მთლიანობის აღდგენას.

ბერლინი. 7 ივნისი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ ბრიუსელის კონფერენციაზე დიდს მნიშვნელობას აძლევენ ანტანტის მთლიანი ფრონტის აღდგენას. როგორც გადმოგვცემენ, ბელგიის წარმომადგენლები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ინგლისის მთავრობამ საშუალება მისცეს საფრანგეთ ინგლისის პასუხს შეუერთდეს გერმანიის ახალ წინადადებათა საკითხის გამო.

ბალდვინი იწვევს მოკავშირეთა კონფერენციას.

რომი. 7 ივნისი. ინგლისის გაზეთები ადასტურებენ გავრცელებულ ხმებს, რომ ბალდვინს განზრახვა აქვს მოიწვიოს საგანგებო კონფერენცია, რომელიც გადასწყვეტს საკონტრიბუციო, რურის ოკუპაციისა და მოკავშირეთა ვალების საკითხს.

საფრანგეთი და ბელგია

ოფიციალური ცნობები ბრიუსელის კონფერნციის შესახებ.

ლონდონი 7 ივნისი. გუშინ საღამოს ოფიციალური ცნობები გამოაქვეყნეს ბრიუსელში მომხდარ საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრთა თათბირის შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ ორივე მთავრობა მომავალშიაც ერთად განაგრძობს ყველა საკითხების განხილვას, რომელიც კი ეხება რურის ოკუპაციას, რომელიც მათ მოახდინეს სრულის თანახმობით და წინდაწინვე გათვალისწინებულის გეგმით.

რურის ევაკუაციის პირობები.

ლონდონი 7 ივნისი. ბრიუსელის კონფერენციის გამო, ჰფიქრობენ რომ რურის ევაკუაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში მომხდარიყო, თუ აქ შეაჩერებდნენ პასიურ წინააღმდეგობის გაწევას, სანამ რაიმე მოლაპარაკება დაიწყებოდეს საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

ლოზანას კონფერენცია

დაბრკოლებანი.

ბერლინი. 7 ივნისი. ეხება რა ლოზანას მდგომარეობას „მანჩესტერ გარდიენ"-ი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ **კონცესიების საკითხი აფერხებს საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დაჩქარებას.** გაზეთის აზრით, არის კიდევ ზოგიერთი დაბრკოლებები ეკონომიურ საკითხებში.

უშედეგოდ.

პარიზი. 7 ივნისი. ისმეტ-ფაშის თათბირი გენერალ პელლესთან უშედეგოდ დამთავრდა. ვენიზელოსს თათბირი ჰქონდა ისმეტ ფაშასთან იმ დაბრკოლებების შესახებ, რომელიც წამოიჭრა ოსმალეთ საბერძნეთის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს.

რაზედ შეთანხმდენ.

რომი. 7 ივნისი. პოლიტიკურ კომისიაში საბოლოოდ მიღწეულია შეთანხმება საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვრების, კასტელოს იტალიისათვის გადაცემის, ოსმალეთ-საბერძნეთის და ოსმალეთ იტალიის ხელშეკრულებების და აგრეთვე ოსმალეთში უცხოელების უფლებრივი გარანტიების საკითხებში.

ოსმალეთ საბერძნეთის შეთანხმების შესახებ.

ბერლინი. 5 ივნისი. ოსმალეთის დელეგაციის წრეებიდან გადმოგვცემენ, რომ მოკავშირეებმა მიიღეს ოსმალეთის უკანასკნელი წინადადება უცხოელების უფლებრივი გარანტიების შესახებ. მეორე ცნობის მიხედვით, პოლიტიკურმა კომისიამ მოაგვარა საკითხი რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის შესახებ.

მცირე ანტანტა

ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირის პროექტი.

ვენა. 5 ივნისი. მცირე ანტანტის წრეებში იხილავენ საკითხს ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირის შესახებ ბულგარეთის შეერთებით. განზრახულია პარიზში მოიწვიონ კონფერენცია პან-სლავიანურ ლიგის შესადგენად. პარიზში მყოფმა ესტონეთის წარმომადგენელმა სლავინმა აცნობა თავის მთავრობას, რომ პარიზში მასსარიკის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, საფრანგეთის მთავრობას ჰსურს მოიწვიოს მცირე ანტანტის წარმომადგენელთა კონფერენცია. მთელი წყება პოლიტიკური საკითხების გამოსარკვევად.

ახლო აღმოსავლეთში

გარრიგტონი წასასვლელად ემზადება.

ბერლინი. 7 ივნისი. გენერალმა გარრიგტონმა წინადადება მისცა სტამბოლში მყოფ ინგლისის გარნიზონის უფროსთა შემადგენლობას **ერთი თვის განმავლობაში მზად იყვნენ ქალაქიდან გასასვლელად.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ცნობის გარშემო

იწყება რუსეთ-ლატვიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

რიგა. 5 ივნისი. ლატვიის ბანკის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რუსეთ ლატვიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ შეიძლება დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს. შემუშავებულია ძირითადი პრინციპები და ხელშეკრულების პროექტი.

ლატვიის წარმომადგენლობა უკრაინაში

რიგა. 5 ივნისი. ლატვიის პრესის ცნობით, ლატვიის მთავრობამ გადასწყვიტა ზაფხულზე დააწესოს ხარკოვში დიპლომატიური საელჩო და წარმომადგენლობა უკრაინაში.

რუსეთ-ამერიკის ვაჭრობის კარგი პერსპექტივები

ნიუ-იორკი. 4 ივნისი. მოსკოვიდან ჩამოსულმა რუსეთ-გერმანიის სატრანსპორტო საზოგადოების დირექტორმა, ჟურნალისტებთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ მისი აზრით, ამერიკის ბიუროს მუშაობა, რომელიც შესაძლებლად ხდის ამერიკის საქმიან წრეებთან ურთიერთობას, კარგ პერსპექტივებს იძლევა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობისათვის.

სხვადასხვა ამბები

იაპონია და ს. ს. რ. კ.

პარიზი. 6 ივნისი. იაპონიის მთავრობა არჩევს საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის განახლების საკითხს. იაპონიის საზოგადოებრივი აზრი დიდის თანაგრძნობით უყურებს საბჭოთა რესპუბლიკების ცნობას.

პრუსია

პარლამენტს პოლიცია იცავს

პარიზი. 6 ივნისი. პრუსიის ლანდტაგის გახსნის დროს პოლიციამ საშუალება არ მისცა გამორიცხულ კომუნისტ დეპუტატებს პარლამენტში შესულიყვნენ.

ბრძანებები ვერ უშველიან

პარიზი. 6 ივნისი. ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა მთელი რიგი ბრძანებებისა სახელმწიფოში რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

შრომის ხელფასის გადიდებას მოითხოვენ

პარიზი. 6 ივნისი. ბეიცენში გაიფიცენ რკინის გზელები, ტრანსპორტის და მაღაროს მუშები, რომლებიც მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

გერმანია

ხუთი კომუნისტის დატუსაღება.

ბერლინი. 5 ივნისი. კომპარტიის მიერ მოწყობილ გუშინდელ მიტინგებზე დაატუსაღეს 5 კომუნისტი, გაზეთ „როტე ფანე“-ს რედაქტორის წინააღმდეგ აღძრულია გამოძიება: მას აბრალებენ პროლეტარულ თავდაცვის ჯგუფების ორგანიზაციას.

იტალია

ამუდსენის ექსპედიცია.

რომი. 7 ივნისი. ცნობილი მეცნიერი ამუდსენი ემზადება ახალი ექსპედიციისათვის პოლიუსისაკენ.

პოლონეთი

გაფიცვა ზემო-სილეზიაში.

ბერლინი. 7 ივნისი. ზემო სილეზიაში სიძვირის ნიადაგზე დაიწყო მაღაროს, ტრანსპორტის და რკინისგზელ მუშების გაფიცვა.

ინდოეთი

მიწის ძვრა ინდოეთში.

რომი. 7 ივნისი. ინდოეთის ცენტრალურ ნაწილში მოხდა მიწის ძვრა, რომელმაც იმსხვერპლა 4000-დი კაცი.

ჰოლანდია.

ჰააგის საერთაშორისო სახამართლოს სესია.

პარიზი. 7 ივნისი. 15 ივნისს გაიხსნება ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს სესია. პირველად გაირჩევა ვილის არხის საკითხი. ამ საკითხის დასმა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1921 წლის მარტში გერმანიამ უარი სთქვა არხით ინგლისის გემის „ჯიმ ბოლდინის“ გაშვებაზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

რუსეთის პავილიონი სპარსეთის გამოფენაზე.

მოსკოვი. 5 ივნისი. ტეგერანის გამოფენაზე განზრახულია რუსეთის პავილიონის მოწყობა. სპარსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის გამო, ზოგიერთმა სამეურნეო ორგანოებმა სურვილი განაცხადეს გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისა.

საჰაერო მიმოსვლა ბოდაიბო-იაკუტსკს შორის.

მოსკოვი. 5 ივნისი. „ლენის ოქროს“ საზოგადოების გამგეობამ, ბოდაიბოს მუშათა ორგანიზაციების შუამდგომლობის გამო, სახალხო კომისართა საბჭოში აღძრა საკითხი ბოდაიბოსა და იაკუტსკს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

სახალხო დოვლათის გამფლანგველის დახვრეტისათვის.

მოსკოვი. 5 ივნისი. მოსკოვის სასამართლოს სესიამ ზოგოროდსკში გაარჩია საქმე ობუხოვის მაუდის ფაბრიკაზე სისტემატიური ქურდობის შესახებ. ქურდობის ორგანიზატორს-ფაბრიკის დირექტორს მიესაჯა სიკვდილით დასჯა.

50.000 დესეტინა დავალების ზევით.

ოდესა. 4 ივნისი. ოდესის ოლქში დათესილია 314,000 მეტი დესეტინა. 50,000 დესეტინა დათესილია დავალების ზევით.

დათესვა 180 პროცენტით.

ოდესა. 4 ივნისი. ხერსონის ოლქმა დათესვის დავალება შეასრულა 130 პროცენტით.

პროტესტი კერზონის მოთხოვნილების წინააღმდეგ.

კიევი. 4 ივნისი. დღეს მსხვილ წარმოებებსა და სამხედრო ნაწილებში გაიმართა საპროტესტო კრებები კერზონის მოთხოვნილების წინააღმდეგ. მიღებულ რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ დათმობის საზღვარი უკვე მიღწეულია.

მინსკი. 4 ივნისი. კერზონის ახალმა ნოტამ დიდი პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია. მუშათა და წითელ-არმიელთა კრებები მოითხოვდნენ დათმობების შეწყვეტას.

კრიმის კურორტები ავსებულია.

სევასტოპოლი. 4 ივნისი. საკურორტო ყრილობამ კრიმის სამხრეთ ნაპირზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იალტაში, ალუშტში და ალუპკაში საბინაო კრიზისია.

250,000 ფუთი ხორბალი დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

ხარკოვი. 4 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭომ სრულიად უკრაინის ცაკთან არსებულ დამშეულთა დამხმარე კომისიას მისცა 250,000 ფუთი ხორბალი.

პურის პროდუქტების ექსპორტი საზღვარ-გარეთ.

მოსკოვი. 6 ივნისი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა საზღვარ-გარეთ პურის პროდუქტების ექსპორტისათვის საჭირო პურის დამზადებას; დასამზადებელი ოპერაციები უკვე სწარმოებს ვოლგის მხარესა და ცენტრალურ რუსეთში.

გლეხები დაინტერესებული არიან პურის სესხით.

მოსკოვი. 6 ივნისი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმში ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ვლადიმიროვმა აღნიშნა, რომ გლეხები დიდი ინტერესით ეკიდებიან პურის სესხს.

ამხ. ვლადიმიროვმა ხაზი გაუსვა სესხის მნიშვნელობას ემისიის შემცირების საქმეში. სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას პურის სესხის დამატებითი გამოშვების შესახებ 30 მილ. ფუთის რაოდენობის.

საზღვაო კოდექსი.

მოსკოვი. 6 ივნისი. შეუდგენ მუშაობას საზღვაო კოდექსის შესადგენად. კოდექსი უნდა ემყარებოდეს სოციალისტურ საბ. რესპუბლიკების კავშირში არსებულ სამოქალაქო სამართლის დებულებაზე, რომელშიაც შეტანილი იქნება საზღვაო და სავაჭრო უფლებათა ნორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კანონებს.

შრომის დროში ორდენით დაჯილდოება.

მოსკოვი. 6 ივნისი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომმა დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით მურმანის გზის მესამე რაიონი, რომელმაც გამოიჩინა გმირობა რკინის გზის ხიდების აღდგენაში.

„გამოფენის კვირეული“ გადაიდო

მოსკოვი. 6 ივნისი. სრულიად რუსეთის გამოფენის სააგიტაციო კვირეული გადაიდო საორგანიზაციო ხასიათის მიზეზების გამო.

ბრძოლა ნათესების მავნეებთან.

ცარიცინი. 6 ივნისი. მავნეებთან ბრძოლის კამპანიის დაწყებიდან დღემდე მთელს გუბერნიაში გაწმენდილია 218,000 დესიატინა. უმთავრესი ყურადღება ექცევა კოლოსთან ბრძოლას.

ფანერის ქარხანა

ველიკი უსტიუგი 6 ივნისი. ამუშავდა დღემდე გაუქმებული ფანერის ქარხანა, რომელიც მომარაგებულია ყოველივე საჭირო მასალით და ხელსაწყოთი.

26 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 6 ივნისი. კუზნეცის მისადევარში 23—24 წელს ნავარაუდევია 26 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირის დამზადება.

კოოპერაცია თათართა რესპუბლიკაში.

ყაზანი. 6 ივნისი. თათართა რესპუბლიკის კოოპერატორთა ყრილობაზე გამოირკვა, რომ კოოპერაცია აკმაყოფილებს მოსახლეობის 60 პრ. მოთხოვნილებას.

დრტვინვა კერზონის წინააღმდეგ.

პსკოვი. 6 ივნისი. კერზონის მეორე ნოტამ დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ფეიქართა მიტინგზე დაადგინეს, არაფერი არ დაეთმოს ინგლისის კაპიტალისტებს. ძმური სალამი უძღვნეს ინგლისის მუშებს და სთხოვეს თავისი ქვეყნის მთავრობას წესიერება მოაგონონ.

უარვყოთ ინგლისის ახალი ულტიმატუმი.

ივანოვო-ვოზნესენსკი. 5 ივნისი კერზონის მეორე ნოტის გამო მრავალრიცხოვანი კრება გაიმართა მუშებისა, წითელ-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისა. კრების რეზოლიუცია მოითხოვს, უარყოფილ იქმნეს ინგლისის მეორე ულტიმატუმი.

მოსკოვის ცეცხლის მქრობელი რაზმის ასი წლის თავი.

მოსკოვი. 4 ივნისი. გუშინ წითელ მოედანზე დიდის ზეიმით იდღესასწაულეს მოსკოვის ცეცხლის მქრობ რაზმის ასი წლის თავი.

პროფინტერნში

პროფესიონალური მოძრაობა დანიაში. დანიაში არსებობს ერთი ცენტრალური პროფესიონალური ორგანიზაცია — „პროფესიონალური კავშირების გაერთიანება“. 1919 წელს გაერთიანებაში შედიოდა 55 კავშირი 2,320 განყოფილებით, ამას გარდა მას ემხრობოდა 5 ავტონომიური კავშირი. სულ პროფკავშირთა გაერთიანებას ჰყავდა 277,392 წევრი, აქედან 228,858 მამაკაცი და 48,534 ქალი.

1921 წელს „გაერთიანებიდან“ გამოვიდა სამი კავშირი: ელექტროტეხნიკოსების, მეშუშეების და მეხორცეების.

1921 წლის ბოლოს გაერთიანებაში შედიოდა 52 კავშირი 2,260 განყოფილებით და 244,372 წევრით, აქედან მამაკაცი იყო 200,304 და ქალი—44,068. ამ რიგად 1919 წლიდან წევრთა რიცხვი შემცირდა 33,020 კაცით, (მათ შორის 20,000 შეადგენენ იმ სამი კავშირის წევრები, რომლებიც გავიდენ გაერთიანებიდან სრული შემადგენლობით).

1922 წელს გაერთიანების წევრთა რიცხვი კიდევ შემცირდა და ამ ჟამად არ აღემატება 200 ათას კაცს.

პროფესიონალური მოძრაობა სოფიაში. სოფიის პროფესიონალურ სექციებში, 1922 წლის დასაწყისში შედიოდა 6,962 წევრი, ხოლო 1923 წ. 1 იანვარს—7,802 წ., მათ შორის 1000 ქალი.

სოფიის პროფკავშირთა საბჭოში შედის 18 სექცია: მეთამბაქოების—510 წევრით, მელითონეების—676, ფაბრიკის მუშების—690, ფეიქრების—44, მეტყავეების—352, მკერვალების—540, ხის დამმუშავებლების—590, სავაჭროების და ბანკების მოსამსახურეების—818, სასადილოების მოსამსახურეების—715, საამშენებლო მუშების—410, მბეჭდავების—320 მებაღეების—96, დალაქების—148, საექიმო-სანიტარული სექციის—150, მსახიობების და მუსიკოსების—197, ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეების—1,161, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების მოსამსახურეების—276 და მასწავლებლების ორგანიზაციის—79 წევრი.

ერთი წლის განმავლობაში გატარებული იყო 34 გაფიცვა.

პროფესიონალური მოძრაობა საბერძნეთში. პროფესიონალური მოძრაობა, რომელიც სდგას კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, არსებობს საბერძნეთში 1921 წლის დეკემბრიდან. ამ დროს დაარსებულმა შრომის კონფედერაციამ 1922 წლის დასასრულ შემოიკრიბა მის გარშემო შემდეგი ფედერაციები: მუშა მეთამბაქოების ფედერაცია, რომელშიაც შედის 16,000 წევრი; მეზღვაურების და ნავთსადგურების მუშათა ფედერაცია—8,500 წევ., ელექტრო-ტეხნიკოსების—5000 წევრი, მეფურნეების—3000 კაც. ტრანსპორტის მუშების ფედერაცია—4,000 კაც. და მრავალი სხვა კავშირები, რომლებიც გაერთიანებული არიან საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქებში 15 მუშათა კამერაში. მის შემადგენლობაში არ შედის მხოლოდ რამოდენიმე წვრილი კავშირი. ფოსტის მოსამსახურეთა ფედერაციის მთელი რიგი სექციებისა, რომლებშიაც ითვლება რამოდენიმე ათასი წევრი, იმყოფება კონფედერაციის გავლენის ქვეშ. კომპარტიის ცენტრალური ორგანო „რიზოსპასტის“, ამავე დროს წარმოადგენს შრომის კონფედერაციის ცენტრალურ ორგანოს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვების ტალღა.

ბერლინი. 6 ივნისი. დიუბეკში ლითონის დამმუშავებელ წარმოებაში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

კილში მუშებმა მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია სიძვირის წინააღმდეგ და მოითხოვეს ხელფასის მომატება.

მუშების გამარჯვება.

სტოკჰოლმი. 6 ივნისი. მუშების გაფიცვა სტოკჰოლმში სრული გამარჯვებით დამთავრდა. გაფიცულთა მოთხოვნილებები სავსებით დააკმაყოფილეს.

50,000 გაფიცული.

პარიზი. 6 ივნისი. ბარსელონაში გაფიცულთა რიცხვი 50,000 უდრის.

შეტაკებები ბარსელონაში.

რომი. 6 ივნისი. **ტრანსპორტის მუშების გაფიცვა ბარსელონაში** გრძელდება. გაფიცულებს შეტაკება მოუვიდათ პოლიციასთან. შეტაკების დროს მოკლულია პოლიციის ერთი აგენტი.

უმუშევართა გამოსვლები.

რომი. 6 ივნისი. ქ. ლემსში, ჩეხოსლოვაკეთში, უმუშევრობის ნიადაგზე მოხდა უმუშევართა დიდი გამოსვლები.

ესტონელი მბეჭდველნი კლასიკური ბრძოლის ტაქტიკას ემხრობიან.

რეველი. 5 ივნისი. ესტონიის ბეჭვდითი საქმის მუშაკთა ყრილობამ დაჰგმო თავისი გამგეობის მოღვაწეობა, შეთანხმებული ამსტერდამის ინტერნაციონალთან, და ახალს გამგეობას დაავალა იხელმძღვანელოს კლასიური ბრძოლის ტაქტიკით.

უცხოეთის ცხოვრება

— **ფაშიზმი ნორვეგიაში.** ნორვეგიის ბურჟუაზიამ, ევროპის სხვა სახელმწიფოების ბურჟუაზიის მაგალითის მიხედვით, შექმნა თავის სახელმწიფოში ფაშისტური ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას ეწოდება—„ნორვეგიის საზოგადოებრივი დახმარება“. ორგანიზაციის მიზანია, მისი ოფიციალური ორგანოს—„საზოგადოება“-ს სიტყვით,—„ემსახუროს კაპიტალიზმს დამკვრელ რაზმათ მუშათა კლასის რევოლიუციონური მუშაობის წინააღმდეგ. ორგანიზაციას დიდი კავშირი აქვს მთავრობის წრეებთან და აგრეთვე არმიასთან, რომელიც მას აწვდის იარაღს. ფაშისტურ ორგანიზაციას ფინანსებს აწოდებენ ნორვეგიის კაპიტალისტები, უმთავრესად დამზღვევი საზოგადოებები და მხარს უჭერს ბურჟუაზიული პრესა.

„ნორვეგიის საზოგადოებრივი დახმარება“ კავშირს აბამს სხვა შავრაზმულ ორგანიზაციებთან სახელმწიფოში—მაგალითად, ნორვეგიის მსროლელთა კავშირთან და რეაქციონურ სპორტიულ საზოგადოებებთან. ნორვეგიის ფაშისტები პირველად აქტიურად გამოვიდნენ 1921 წ. საყოველთაო გაფიცვის დროს, გამოიწვიეს შტრეიკბრეხერები და ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს დამქირავებლებს გაფიცულებთან ბრძოლაში.

ამ ჟამად ორგანიზაცია ცდილობს გლეხობასთან დაკავშირებას, რასაც ის ზოგჯერ კიდეც ახერხებს და იწყებს ფაშისტურ პროფკავშირების დაარსებას. მის მიერ დაარსებულია ეგრედწოდებული: ნორვეგიის სამოქალაქო მუშათა ორგანიზაცია.

ნორვეგიის მუშათა პარტია (რომელიც ემხრობა კომინტერნს) და პროფკავშირების ცენტრალური გაერთიანება აგროვებენ თავიანთ ძალებს ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი.

საქონლის ტრიალი ნავთსადგურში.

ბათომი. 6 ივნისი. გასული მაისის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში საქონლის ტრიალი ასეთი იყო: გაზიდვა—17,524,000 კილო, შემოზიდვა—1,260,000.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებიდან.

ბათომი. 6 ივნისი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა გადარიცხეს ერთი დღის ჯამაგირი საჰაერო ფლოტის და ინვალიდების სასარგებლოდ.

ხოლერის საწინააღმდეგო აცრა.

ბათომი. 6 ივნისი. შემოღებულია ხოლერის საწინააღმდეგო აცრა იმათთვის, რომლებიც მიდიან ზღვით ბათომიდან.

ტალახით სამკურნალო.

ბათომი. 6 ივნისი. რკინის გზის აბანოსთან გაიხსნა ბათომში პირველად ტალახით სამკურნალო. მკურნალობა სწარმოებს ახტალის ტალახით.

აჭარა

ნავთსადგურში.

ბათომი. 5 ივნისი. მოვიდა ამერიკული გემი „სოგუს“-ი და აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მთავარ სამმართველოსათვის 1,907 ფუთი სამრეწველო იარაღები და ხელსაწყო, 506 ფუთი სამიწადმოქმედო იარაღები „არკოს“-ისათვის. ამერიკულმა ნავთის საზიდმა გემმა „ტრისენტროს“-მა წაიღო 7,500 ტონი (ტონი 62 ფუთია) საზღვარგარეთის ბაზრისათვის. „არკოს“-ი რამდენიმე დღის შემდეგ მოელის ახალი გემის მოსვლას, რომელიც გაიტანს 3500 ფუთს ნავთს.

ძველს ბინაზე.

ბათომი. 5 ივნისი. ოსმალეთის გემით „ალექსანდ“-ით ტრაპიზონიდან გაიყვანეს 390 ლტოლვილი ოსმალო.

საბაგაჟო ვაგონის გაქურდვა.

ბათომი. 5 ივნისი. საფოსტო მატარებლის № 4 საბაგაჟო ვაგონი ქობულეთის გზაზე გაქურდეს. გაიტაცეს 2 შეკვრა, რომელთაგანაც ერთს მიაგნეს, მეორე—ხალიჩების შეკვრა—უგზოთ დაიკარგა. საგანგებო კომისია კვლევა-ძიებას აწარმოებს.

მოხალისე ფლოტი მოქმედებას ახლებს.

ბათომი. 5 ივნისი. რადგანაც მოხალისე ფლოტს მონოპოლიური უფლება მიენიჭა შავ ზღვაზე ნავოსნობის საქმისა, ამისთვის გერმანიის სანავოსნო ფირმამ „კევის“-ი თავისი მოქმედების ლიკვიდაციას შეუდგა.

არტელს გადაეცა იჯარით.

ბათომი. 5 ივნისი. კომუნალური ქარხნები კვლავ იჯარით გადაეცა „შრომის“ არტელს ძველებურ პირობებით.

უწყლობა.

ბათომი. 5 ივნისი. ქალაქში დიდი უწყლობაა. კომუნალური მეურნეობის კომისია გაემგზავრა წყალსადენის მთავარი ნაწილის დასათვალიერებლად. გამოირკვა, რომ გვალვების გამო წყლის დონეს დაუწევია მდ. ლეჩა-სუაზე, რომელიც ასაზრდოებდა ბათომს წყაროს წყლით. ამ დონის დაწევის გამო, წყალი ვეღარ სწვდება წყლის საქაჩებლების მილებს. მიღებულია ზომები არხის გასაყვანად. ამის გარდა დიდი ნაკლი აღმოაჩნდა წყლის მწმენდელ მომარათულობას. ამის შეკეთებას დიდი ხარჯი დასჭირდება. კომუნალური მეურნეობის სამმართველო იძულებული ხდება მოუცადოს თავისი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუშები გამოფენაზე.

ბათომი. 5 ივნისი. მუშა-მოსამსახურეთა შორის ადგენენ სიას სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში წასვლის მსურველებისას

კულტურული ნერგები.

ქობულეთი. 5 ივნისი. ქობულეთის სააგრონომიო პუნქტმა სოფ. კუცუბანში გამართა სანერგე ხეხილებისა და დეკორატიულ მცენარეულობისა. დარგულია 5000-დე ძირი სხვა და სხვა ხეხილისა და მცენარისა. გაიმართა ბაღჩა-ბოსტანი. ქობულეთში საძირკველი ჩაეყარა ქალაქის ბულვარს.

ლტოლვა სკოლისაკენ.

ბათომი. 6 ივნისი. აჭარის ცენტრალურ აღმასკომის მიერ მიღებული ცნობების მიხედვით, ქობულეთის ახლად გახსნილ სკოლაში მოკლე ხნის განმავლობაში ჩაწერილია დაახლოვებით 100 მოწაფე.

ბრძოლა თამბაქოს კონტრაბანდის წინააღმდეგ.

ბათომი. 5 ივნისი. თამბაქოს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ბრძანების პროექტი, რომლითაც აკრძალულია თამბაქოს ნაწარმოების გაყიდვა, თუ ასეთებზე არ არის სათანადო ბანდეროლი, აგრეთვე თუ არ არის მოთავსებული ფაბრიკის სათანადო შესახვევში. დამნაშავეები დაისჯებიან საქონლის ჩამორთმევით და ჯარიმის ეინვგადახდებით.

სამკურნალო კურსები.

ბათომი. 5 ივნისი. სამკურნალო ნაწილის რეორგანიზაციის შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო ფინანსიური მოსაზრებებით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა 14 სამკურნალო პუნქტის მაგივრად დასტოვა 10: ქობულეთში, კინტრიშის თემში, ჩაქვში, ორთა-ბათომში, გოროდოვკში, ხალტაში, უჩამპაში, ჩკანაში, აჭარის წყალში, და სხვ. საავადმყოფოების რიცხვი მაზრებში უცვლელად რჩება.

საბეითლო დახმარება.

ბათომი. 5 ივნისი. საბეითლო განყოფილების ცნობის მიხედვით, საბეითლო-სანიტარული პუნქტის საშუალებით გაგზავნილია საზაფხულო საძოვარ ადგილებზე: წვრილ-ფეხა საქონელი 18,272, მსხვილფეხა 494.

აზერბეიჯანი

საქმე ოქრო-ვერცხლის კონტრაბანდათ გატანის შესახებ.

ბაქო. 6 ივნისი. კავკასიის ცალკე არმიის რევტრიბუნალმა დაიწყო გარჩევა კასპიის სამხედრო გემების უფშემადგენლობის მიერ სპარსეთში ოქრო-ვერცხლის კონტრაბანდათ გაზიდვის საქმე. საბრალმდებლო ოქმის მიხედვით, ამ საქმის მდგომარეობა ასეთი ყოფილა: შარშან ოქტომბერში, ენზელში წასასვლელად გამზადებულ საესკადრონო ნაღმოსან „ტურკმენეც სტავროპოლეც“-ზე აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის საგანგებო განყოფილებას შეუტყვია, რომ ამ ნაღმოსნით განზრახულია სპასეთში გაიტანონ დიდძალი ვერცხლეული. თავდაპირველად მოხდენილ გაჩხრეკის დროს, სხვა საკონტრაბანდო საქონლის შორის, აღმოუჩენიათ 13 ფუთი ვერცხლის ფული. იმ პარკებზე, რომლებშიაც მოთავსებული იყო ეს ფული, სპარსულად იყო წარწერილი ამანათის მიმღებთა მისამართები—ენზელში არსებულ სპარსეთის სავაჭრო ფირმებისა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გემი ენზელში უკვე მისული იყო, კვლავ მოახდინეს ჩხრეკა და კიდევ აღმოაჩინეს დიდძალი ოქრო და ვერცხლი, სახელდობრ 40 ფუთი ვერცხლი და 3 გირვანქა ოქრო. როდესაც გემი ბაქოში დაბ

დუშეთის მაზრაში აჯანყების ხუთი წლის თავისთვის

(ფაქტიური შესწორება).

როგორც „კომუნისტში“ მოთავსებულ ამხ. ხუხუას ღია წერილიდან სჩანს, გადაწყვეტილია დუშეთის მაზრ. აჯანყების 5 წლის თავის დღესასწაულობა, ამა წლის 17 ივნისს. ეს თარიღი შეცდომით არის ნაჩვენები. რადგან დუშეთის აჯანყება 1918 წ. დაიწყო 13 ივნისს. შარშანაც ამ დღეს აღვნიშნეთ ოთხი წლის თავი. ამიტომ წელსაც ამ დღეს უნდა დაინიშნოს დღესასწაული.

გ. ლაფანაშვილი.

ომი ნავთისათვის

ეს ომი მიმდინარეობს რამოდენიმე ფრონტებზე.—ამერიკის „სტანდარტ ოილ“ და ინგლისის „როიალ დეჩ“. ომის ასპარეზების საერთო მიმოხილვა.

ჩვენ ფეხი შევდგით ნავთის საუკუნეში. ის ერი, რომლის ხელში იქნება ნავთი, გაბატონდება მთელ მსოფლიოში. გავეცნოთ უმთავრეს ძალებს.

1922 წელს „სტანდარტ ოილ კომპანის“ ზოგიერთი დარგები იძლეოდენ შემოსავალს 200-დან 800 პრ.-დი. ამბობენ, რომ შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკა მჭიდროთ არის დაკავშირებული „ს. ო. კ.“ პოლიტიკასთან. „ს. ო. კ.“ საკმაოთ ძლიერია, რომ მას ანგარიში გაუწიონ.

„ს. ო. კ.“-ინგლისელ კონკურენტს —„როიალ დეჩ შელლ“-ის, პირიქით, ინგლისის ფლოტის დახმარების იმედი აქვს. ფორმალურად რ. დ. შ. ინგლისი „უცხოეთის ტრესტათ თვლის“, მაგრამ, როცა ამ „უცხოეთის ტრესტმა“ შთანთქა ინგლისური საზ. „მუსიკალ იგლ ოილ კომპანი“ ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ამ ტრესტისადმი.

„სტანდარტ ოილ კომპანი“, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის მთავრობა და „როიალ დეჩ შელლ“-ი, რომელსაც ეხმარება ინგლისის მთავრობა, ებრძვიან ერთი მეორეს მთელ მსოფლიოში ნავთის წყაროების თავის ხელში ჩასაგდებათ.

პირველ ხანებში, საფრანგეთი ცდილობდა ამ ორი ტრესტის ბრძოლიდან განზე მდგარიყო, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა კარები გაეღო მათთვის იმ იმედით, რომ სარგებლობას მიიღებდა მათი ქიშპობისაგან. და აი, „სტანდარტ ოილ კომპანი“-მ, „როიალ დეჩ კომპანიმ“ და „ენგლო-პერშიენ ოილ კომპანიმ“ გამართეს ბრძოლა ურთიერთ შორის საფრანგეთის ნავთის ხელში ჩასაგდებათ.

ომის დროს უინსტონ ჩერჩილის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ინგლისის ჯარების საშუალებით იკავებდა ნავთით მდიდარ რაიონებს. ასე მაგალითად ინგლისის ჯარებმა ომის დროს დაიკავეს „ნავთის ქვეყნები“ როდეზიაში, პალესტინაში, ოსმალეთში და კავკასიაში. პაქტონ გიბბენმა, რომელმაც „ინდუსტრიელ დიდერესტში“ 1922 წ. განაცხადა, რომ ბაქოსა და გროზნოს ნავთის წყაროებს შეუძლია 10 მილ. ტონა ნავთის მოცემა, სწერდა: „როცა 1918 წლის ნოემბერში უკანასკნელად გაისმა თოფის გასროლა, ყველა მომავალზე დაფიქრებული შორსმჭვრეტელი ხალხისათვის ნათელი იყო, რომ მსოფლიოში არის ნავთის სამი რაიონი, რომლის ხელში ჩაგდება შეიძლება.—მესოპოტამია, სპარსეთი, რუსეთი და კიდევ ერთი—მეოთხე, რომლის შესახებ საჭიროა მოლაპარაკება, რადგან ის მოკავშირე სახელმწიფოში რუმინიაში—იმყოფება“.

ინგლისელებმა დაიკავეს ბაქო, მაგრამ მისი შენარჩუნება შესძლეს მხოლოდ მცირე ვადით.

დენიკინმა დაიპყრო გროზნო და მთელი ინგლისის პრესა მიესალმა ამ გამარჯვებას. მაგრამ, იმედი გაუცრუვდათ. არც დენიკინის ბატონობა დარჩა იქ დღეგრძელი. რომ ცენტრალურ რუსეთში ნავთი არის, ეს ყველამ იცის. ამ ნავთის წყაროებისაკენ გზა ჩრდილოეთიდან მიდის. და აი ინგლისელებმა დაიკავეს არხანგელსკი და ხელი გაუწოდეს კოლჩაკს. მაგრამ იმედები აქაც დაემსხვრათ.

რუს თეთრ-გვარდიელთა უკანასკნელ ჩრდილო-დასავლეთის მთავრობას, უწოდებდენ „ნავთის მთავრობას“, რადგან მას სათავეში ედგა რუსი ნავთის მრეწველი, ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი ლიანოზოვი.

ვანდერლიპი ამტკიცებდა, რომ ნავთი არის ციმბირშიც. და აი შეერთებულმა შტატებმა ამ მიზნით ჯარები გაგზავნეს ციმბირში.

იაპონიამ, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ მიიღო კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი, ნავთი კი აღმოჩნდა მის ჩრდილოეთის ნაწილში და კამჩატკაზე. იაპონიამ, რუსეთის რევოლიუციის დროს მოახერხა ხელში ჩაეგდო სახალინის მეორე ნახევარი ნაწილიც. ამ ჟამად სახალინზე მუშაობს იაპონიის ნავთის სამი საზოგადოება.

ბარონი ვრანგელსაც, რომელსაც ფინანსიური დახმარებას უწევდა „რუსეთ-საფრანგეთის საზოგადოება“ კაპიტალით 12,00,000 ფრანკი, ნავთის წყაროებისაკენ ქონდა მიპყრობილი თავისი ყურადღება, მაგრამ მისმა ავანტიურამ უფრო ადრე დაილია დღეები, ვიდრე ნავთს მიუახლოვდებოდა.

ამერიკელი ჯარების ციმბირიდან გაწვევის შემდეგ, სილას რუტი „სტანდარტ ოილ“-ის და ბუდ ფოსტერი „მეგირ პეტროლეუმ კომპანი“-ს აგენტები დაბრუნდენ თეთრ გვარდიელების მიერ დაკავებულ კავკასიაში, როგორც წითელი ჯვრის წევრები.

მაგრამ ვერც დენიკინმა, ვერც ვრანგელმა, ვერც ინგლისელებმა, ვერც ამერიკელებმა და ვერც თვით.. წითელმა ჯარმა ვერ შეუშალეს ხელი პირველ მუშურ რესპუბლიკას დაებრუნებია თავისი საკუთრება—ნავთის წყაროები.

ნავთის წყაროებით რუსეთმა საპატიო ადგილი დაიჭირა მსოფლიო პოლიტიკაში და საზავო კონფერენციებზე.

რუსეთი ჯერ გენუაში და შემდეგ ჰააგაში მიიწვიეს არსებითად ნავთის საკითხის გამო. ამერიკამ გადასწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა ამ კონფერენციებში, მაგრამ „სტანდარტ ოილ კომპანის“ ორი წარმომადგენელი თვალ-ყურს ადევნებდა მოლაპარაკების მსვლელობას. „როიელ დეჩ“-იც რასაკვირველია წარმოდგენილი იყო კონფერენციაზე. ინგლისის მრეწველობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ კონფერენციას: ჰ. რობსონი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფაბრიკანტების წარმომადგენელი და ნესლი ურკარტი, კოლჩაკის მეგობარი, „რუსეთ-აზიის კომპანიის“ წარმომადგენელი. არ იყო მხოლოდ ინგლისის მშრომელთა წარმომადგენელი. ასე უწევენ ანგარიშს ჩვენს დემოკრატიას!

ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის ნავთის მრეწველთა საზოგადოებებმა, რომლებიც ომამდი ამუშავებდენ რუსეთის ნავთს, განიზრახეს რუსეთის წინააღმდეგ ბლოკის შექმნა, მაგრამ „როიალ დეჩ“-მა შეისყიდა თავისი დაღარიბებული კონკურენტების ყველა აქციები; „სტანდარტ ოილმა“ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მოსკოვში მოსალაპარაკებლათ; „ამერიკენ ზერიდსალ კორპორეიშენ“ საბჭოთა მთავრობის ხარჯზე ამუშავებს ნავთის ახალ წყაროებს, „ლიუსეი-რეკს“ აწვდის რუსეთის ნავთის მრეწველობას საჭირო მანქანებს, სინკლერმა კი (ორი უკანასკნელი საზოგადოება ამერიკულია) მიიღო კონცესიები სახალინზე და კამჩატკაზე.

ვერსალის ხელშეკრულების დადების დროს პატარა ერმა—რუსინებმა მოითხოვა დამოუკიდებლობა (რომელზეც მას არა ნაკლები უფლება ქონდა ვიდრე მაგალითად ესტონეთს).

მაგრამ ნავთის მრეწველთა საერთაშორისო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეა ჩარლზ პერკინსი მოახერხა, რომ რუსინებს უარი ეთქვა დამოუკიდებლობაზე, რადგან თუ მათ დამოუკიდებლობა მიეცემოდათ საჭირო იქნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ გალიციის ერთმანეთისაგან დაშორება, რაც არ იყო სასარგებლო ნავთის მრეწველებისათვის, რომელთაც აქ ნავთის გასაწმენდი ქარხნები და ნავთის წყაროები აქვთ. რუსინები შეუერთეს პოლონეთს. ისინი დღემდისაც ამის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ამაოთ. ფრანგმა ფინანსისტებმა ფეხი მოიმაგრეს პოლონეთის ნავთის მრეწველობაში, რომელიც, უნდა ითქვას, მაინცა და მაინც დიდ შემოსავალს არ იძლევა.

⁂

ამას წინათ მთელ ამერიკას მოედვა ყიჟინა: ინგლისი ხელში იგდებს მთელი ქვეყნის ნავთის წყაროებს!

და მართლაც ინგლისის მთავრობა კანტროლს უწევს „ენგლიშ პერშიენ ოილს“, ინგლისის მთავრობისათვის არა ერთხელ დაუდვიათ ბრალათ, რომ ის დახმარებას აძლევს „როიალ დეჩ კომპანის“. ამერიკის მთავრობის ეჭვები უფრო გააძლიერა „ბრიტტიშ კონტროლედ ოილფილდს საზ.-ბის“ აქტივობამ, რომელმაც თავისი მოქმედება 1919 წელს დაიწყო იმით, რომ მიიღო, უმთავრესად სამხრეთ-ამერიკაში დიდი კონცესიები მიწაზე.

„ბ. კ. ო. ლ.“-ს თავმჯდომარემ ედგარ მაკკიმ იწინასწარმეტყველა, რომ „რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ამერიკელები იძულებული გახდებიან ათასი მილიონი დოლარი დახარჯონ ინგლისის ნავთის შესაძენათ“.

ამერიკის საანკეტო საზოგადოება ამოქმედდა. პრეზიდენტმა ვილსონმა მოხსენების დროს სთქვა, რომ ინგლისელები სისტემატიურად ხელიდან აცლიდენ უცხოელებს ნავთის წყაროებს ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში და რომ ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სხვა სახელმწიფოების ნავთის წყაროები. ინგლისის მთავრობამ უარყო ეს ცნობა და განაცხადა, რომ „ენგლიშ პერშიენ კომპანი“ აინტერესებს მას მხოლოდ თავისი სამხედრო ფლოტის სათბობი მასალით უზრუნველყოფის მიზნით და რომ მას ფიქრადაც მოსვლია ხელში ჩაიგდოს ნავთის მონოპოლია. ლორდ კერზონსა და კოლბის შორის ამის გამო გაიმართა დიდი პოლიტიკური ბრძოლა.

სომხეთში არ არის ნავთი და აი საფრანგეთმაც, ინგლისმაც და ამერიკამაც უარი სთქვა სომხეთის მანდატზე. მესოპოტამიაში არის ნავთი, და ინგლისმა მიიღო მანდატი ამ ქვეყანაზე, თუმცა ეს მეტად ძვირად უჯდება მას!

რომ აეცილებია თავიდან საფრანგეთის პრეტენზიები, ინგლისი შეპირდა საფრანგეთს, რომ მისი გავლენის სფერო გახდებოდა ოსმალეთი.

საფრანგეთს უნდა ჩაეგდო ხელში მოსული, მაგრამ იმავე დროს ინგლისს უნდა შეენარჩუნებია იქ ომის წინ აღებული ნავთის კონცესიები.

ლოიდ-ჯორჯმა განუმარტა ფრანგებს კონფერენციაზე, რომ „პეტროლეუმ კომპანის“ მოსულში ომამდისაც ქონდა კონცესიები. საფრანგეთის ხელში გადავიდა ოსმალეთში „გერმანიის ბანკის“ ქონების 25 პროცენტი, „როიალ დეჩს“ მიეცა 25 პროცენტი, „ენგლიშ-პერშიენმა“ მიიღო 50 პროცენტი. ამის შემდეგ, რასაკვირველია „ენგლიშ-პერშიენის“ თავმჯდომარეს ჩარლ გრინვეის, სრული უფლება ქონდა ეთქვა, რომ „ლოიდ-ჯორჯი ინგლისის ყველაზე დიდი პრემიერი არასო სან-რემოს შეთანხმება პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელსაც ხელი მოაწერა ნავთის ორმა დიდმა მრეწველმა ჯონს კადმანმა და პოლ ბერტელომ.

„როიალ დეჩ ბელლიმ“ მოისურვა მონაწილეობის მიღება საფრანგეთის ნავთის საქმეებში. საზავო ხელშეკრულების ძალით მას ამისი უფლება ქონდა. ემირ ფეისალმა ზღვასთან მირეკა გენერალ გურიის ჯარები იმ დროს, როცა კერზონმა საფრანგეთს წინადადება მისცა დაედვა ხელშეკრულეია „როიალ დეიჩ შელლისთან“, რომ ამით სირიაში მშვიდობიანობა დამყარებულიყო. მილიერანი დასთანხმდა. ფეისალი დაინიშნა ირაკის მეფეთ. საბერძნეთმა თავის მხრივ თავის თავზე აიღო ქემალ-ფაშასთან ანგარიშების გასწორება.

ამერიკელებს მოაგონდათ, რომ მათ ოსმალეთში ქონდათ რკინის გზის გაყვანის კონცესიები და აი სცენაზე გამოჩნდა ადმირალი ჩესტერი. ამ რკინის გზის ერთ-ერთ ხაზს უნდა გაევლო მოსულის რაიონში, რამაც აიძულა ამერიკა მოეთხოვა ამ რაიონში „ღია კარების“ პოლიტიკის წარმოება. ამერიკის მეთვალყურე თვალყურს ადევნებდა ლოზანის კონფერენციის მიმდინარეობას იმ დროს, როცა უნტერ მეიერი იცავდა ოსმალეთის 22 პრინცის და პრინცესის უფლებას ნავთის წყაროებზე. ბერძნების დამარცხების შემდეგ ქემალ-ფაშამ იგრძნო, რომ მას ხელები გაახსნა. ახლა მას საშუალება მიეცა ყურადღება მიეპყრო მესოპოტამიისათვის.

ინგლისისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ფეისალმა მოითხოვა მესოპოტამიიდან ინგლისის ჯარების გაყვანა.

ოსმალეთმა დაამტკიცა ჩესტერის კონცესია.

„სტანდარტ ოილმაც“ მიიღო თავისი კონცესია პალესტინაში.

1914 წლამდი სპარსეთი გავლენის ორ სფეროდ იყოფოდა. ერთი ეკუთვნოდა ინგლისს, მეორე რუსეთს—(ჩრდილო ნაწილი რუსეთის—მინერალებით მდიდარი რაიონი, სამხრეთი—ინგლისის—ნავთის რაიონი). შუა ნაწილი, უფრო ღარიბი, საკუთრად სპარსეთს ეკუთვნოდა. მაგრამ რუსეთის ზონაში აღმოჩნდა ნავთი. ამის გამო 1917 წელს მოეწყო „რუსეთ-სპარსეთის ნავთის საზოგადოება“. რევოლიუციის შემდეგ რუსეთმა გაიწვია თავისი ჯარები სპარსეთიდან, მაშინ ინგლისის ჯარები დაიძრენ ჩრდილოეთისკენ და 1920 წ. მოეწყო საზოგადოება „ნორს პერშიენ ოილ ლიმიტედ“, კაპიტალით 3.000.000 გირვ. სტერლინგი. ამ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ჩარლზ გრინვესი „ინგლიშ პერშიენის“ წარმომადგენელი. სპარსეთის არმიის ხელმძღვანელობა გადავიდა ინგლისელ ოფიცრების ხელში, ანგლოფილურ მთავრობას თეირანში ყავდა ინგლისელი ფინანსიური მრჩეველი.

მიუხედავათ ამისა ამერიკის მისია თეირანში დიდ ანტი-ბრიტანულ პროპაგანდას აწარმოებდა. ამას მოყვა პოლიტიკური ცვლილებები, ანგლოფილური კაბინეტი გადადგა „ნორს პერშიენ ოილ ლიმიტედის“ მიერ არაკანონიერი გზით მიღებული კონცესიები გააუქმეს, ინგლისელი ფინანსიური მრჩეველის ადგილი დაიჭირა ამერიკელმა ნავთის მრეწველმა მილსკოფმა.

იტალიამ უზრუნველყო თავისათვის ალბანეთის ნავთი, „სტანდარტ ოილ“-საც მიეცა აქ კონცესია. მაგრამ საფრანგეთი აქეზებს „ფაშისტურ სინდიკალური კორპორაციების კავშირს“ თვით დაამუშაონ ალბანეთის ნავთი (ე. ი. წაართვან კონცესიები „სტანდარტ ოილს“).

სამხრეთ-ამერიკას, როგორც სჩანს დიდი პერსპექტივა აქვს ნავთის მრეწველობის საქმეში. „როიალ დეჩ“ და „სტანდარტ ოილ“ ენერგიულათ მუშაობენ იქ.

როგორი იქნება ნავთისათვის მსოფლიო ბრძოლის შედეგები, რომლის გამო აუარებელი სისხლი დაიღვარა რუსეთში, სირიაში, სპარსეთში, ოსმალეთში, მექსიკაში და რომელიც, შესაძლოა, 1914—1918 წ. წ. მსოფლიო ომის მთავარი მიზეზი იყოს? სერ ჯონს კადმანი „ანგლო პერშიენიდან“ ფიქრობს, რომ ეს ქიშპობა დამთავრდება ინგლის-ამერიკის შეთანხმებით. მაგრამ ის მხედველობიდან უშვებს დღევანდელ დაბრკოლებებს. შესაძლოა თუ არა შეთანხმება ორი ერთმანეთის მოქიშპე სამხედრო და სავაჭრო ფლოტების სათბობი მასალით უზრუნველყოფის საქმეში? კაპიტალისტური სახელმწიფოები ასე ჩქარა ვერ გადასჭრიან ურთიერთ შორის წინააღმდეგობის პრობლემებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ მშრომელი მასსები შესძლებენ იმ დაბრკოლებების მოსპობას, რომელსაც ქმნის კაპიტალისტური სამყარო ერების თანამშრომლობისათვის სათბობი მასალის დამუშავების საქმეში, რომელიც ერთნაირათ საჭიროა ყველა სახელმწიფოებისათვის.

ვ. მარტენ.

„ინტერნ. პრესკორესპონდენცია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში შესდგება თბილისის საბჭოს აღმასკომის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება სოციალურ-დიფერენციალურ ტარიფების შემოღების შესახებ კომუნალური სამსახურისთვის.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა საბჭოს წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა.

447 2—1 **პრეზიდიუმი.**

ყველა მაზკომებს და ოლქკომებს

15 ივნისისათვის მოწვეულია სააღრ. განყ. გამგეთა თათბირი

დღის წესრიგშია:

1. აღრიცხვის უახლოესი ამოცანები, 2. აღრიცხვა პასუხისმგებელ და არა ლეგალურ პირობებში მომუშავეთა, 3. სრულიათ საქართველოს აღწერა, 4. სტატისტიკა, 5. მიმდინარე საქმეები.

თქვენმა სააღრიცხვო განყოფილებათა გამგეებმა უნდა წარმოადგინონ დაწვრილებით ანგარიშები (წერილობითი სახით) სააღრიცხვო-სასტატისტიკო აპარატის მდგომარეობის შესახებ მაზკომების და ოლქკომების პასუხისმგებელ მდივანთა ხელის მოწერით და კონკრეტიული წერილობითი მოსაზრებანით.

საჭიროა წამოიღოთ თან ყველა ის მასალები, რომელნიც მოთხოვნილია ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარული მოწერილობებში. აგრეთვე სავალდებულოა სია მარქაფა ჯგუფებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ მომუშავეებისა (ფორმა № 1) მათი დახასიათებით.

ცენტ. კომ. მდივანი **ქართველიშვილი.**
სააღრიცხვო სტატისტ. განყ. გამგე **ლიცინოვი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 8 ივნისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში წამოაყენონ საკითხი თვით რაიკომებმა და იაჩეიკებმა.
თბილისის კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის იანვარში მოწვეულ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების არა ჩვეულებრივი საზოგადო. კრების გაგრძელება **დანიშნულია ამა წლის ივნისის 18-ში ქალაქ ჭიათურაში.**

762 2—2 **პრეზიდიუმი.**

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ

„ამიერ-კავკასიის მუშა-ქალის“

ჟურნალი გამოდის ოთხ ენაზე: რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

ჟურნალის მიზანია დაეხმაროს ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალს იმ საკითხებში გარკვევის დროს, რომლებიც აინტერესებს მას როგორც საბჭოთა რესპუბლიკის აქტიურ მოქალაქეს, რომელიც მოწოდებულია მიიღოს მონაწილეობა ახალი ცხოვრების მოწყობაში. ჟურნალი მიზნათ ისახავს აგრეთვე დაეხმაროს მუშა-ქალებს როგორც დედას და მომავალი თაობის აღმზრდელს. ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მუშა-ქალების ყოფა-ცხოვრებას.

ჟურნალში მონაწილეობას ღებენ: ამხ-ბი: ორჯონიკიძე, კასიანი, თოდრია, ნაჯაფოვი, რასულ-ზადე, გაუსმანი, როზენფელდი, ბელოიანი, მარიამ ორახელაშვილი, ზავარიანი, დალნაია და სხვები.

მეოთხე ნომერზე ხელის მოწერა 15 ივნისამდე ღირს 400.000 მანეთი, 15 ივნისის შემდეგ ფასი გადიდებული იქნება.

ხელის მოწერა მუშა და გლეხ ქალებისათვის ქალთა განყოფილებების საშუალებით ეღირება 25 პროც. ნაკლები.

შეიძლება შეძენა ჟურნალ „ამიერ-კავკასიის მშრომელი ქალი“-ს მესამე ნომერის ფასი—350,000 მანეთი.

მიიღება განცხადებები.

რედაქციის მისამართი: რტიშჩევის № 4. რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალებს შორის მუშაობის განყოფილება.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატი.

თბილისის განყოფილება, სომხის ბაზარი, № 6, ტელეფ. № 4—35.

აერთებს რუსეთის საფეიქრო, ბამბის მატყლის, აბრეშუმის, ტილოსა და ტრიკოს ქსოვილების ყველა ტრესტებს. საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება ემსახურება საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანის ნაწილს. ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებისათვის რუსეთის ფართლეულობის ხელსაყრელ ფასებში მიწოდების მიზნისათვის, განყოფილება აწოდებს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს და კერძო ფირმებსა და პირებს **ნაღდ ანგარიშზე და ნისიათ: ბამბის, ტილოს, მატყლის, აბრეშუმის და ტრიკოს ნაწარმოებებს და აგრეთვე ცხვირსახოცებს, ძაფებსა და სხვა და სხვა საქონელს.**

განყოფილებას აქვს აგრეთვე ბამბის ხმელი ქსოვილები.

განყოფილების დროებითი გამგე: **ბ. ზ. სუსლოვი.**
434 2—2 გამგის მოადგილე: **დ. პ. ნადირეიშვილი.**

რუნდა, ნოემბრის 10-ში, ნადმონის უფროსი შემადგენლობა დაატუსაღა საგანგებო განყოფილებამ და საქმის გამოძიებიდან გამოირკვა, რომ ოქრო-ვერცხლის სპარსეთში კონტრაბანდით გატანის საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვა გემების უფროსთა შემადგენლობის პირნიც და აგრეთვე კასპიის ფლოტის სანაპირო ნაწილის მოსამსახურენი, რომლებიც ამ განძეულობას ღებულობდნენ ბაქოში მყოფ სპარსეთის ვაჭრებისაგან. საბრალმდებლო ოქმის ცნობებიდან სჩანს, რომ 1922 წლის განმავლობაში ამ გზით გაუტანიათ სულ 1000 ფუთი ვერცხლი და 10 ფუთი ოქრო.

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულია 45 კაცი, მათ შორის 36 სამხედრო მეზღვაური და 9 სპარსელი ვაჭარი. დატუსაღებულია 15 ბრალდებული, დანარჩენები თავისუფლად იმყოფებიან. რუსეთის სოც. ფედერატ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონთა კრებულით ზოგს მათგანს ბრალი ედება სადისციპლინო წესების 109, 114 და 117 მუხლების ძალით. ჩხრეკის დროს „ტურკმენეც სტავროპოლეც“-ის გემზე აღმოჩენილი ოქრო და ვერცხლი გადაცემული აქვს სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილებას. ამ საქმის მონაწილე სპარსელი ვაჭრების ერთი ნაწილი სპარსეთშია წასული, რის გამოც მათი პასუხისგებაში მიცემა ვერ მოხერხდა. სამხედრო მეზღვაურნი, რომელნიც პირველი დაკითხვის დროს უარს ჰყოფდნენ ამ საქმეში მონაწილეობას, გამოტყდნენ და თავისი დანაშაული უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებით და ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენით ახსნეს.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. სტასულის, წევრები: ამხ. ზენოვი და გერასიმოვი; ბრალს სდებენ: პერელშმიდტი, კლიუჩევი და ლიდერტი. საზოგადოების ბრალმდებელი ამხ. განიუშკინი. დამცველებათ გამოდის 10 ვექილი.

სომხეთი

უმუშევართა დახმარება.

ერევანი. 6 ივნისი. მაისის განმავლობაში სოციალურ დაზღვევის მზრუნველობაზე მყოფ უმუშევართა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რაც აიხსნება შტატების შემცირებით, რომელიც გატარდა მრავალ დაწესებულებებში სულ ერევანში ითვლება 550 უმუშევარი. რომელთაც ეძლევა დახმარება საქონლის მანეთის კურსით 1 მ. 65 კაპეიკიდან 5 მანეთამდე. სასადილოში ყოველდღე სადილობენ 250 უმუშევარი და 40 ინვალიდი, რომლებიც ღებულობენ დახმარებას 5-დან 10 მანეთამდე.

პედაგოგიური მუზეუმის მუშაობა.

ერევანი. 6 ივნისი. პედაგოგიური მუზეუმი ამზადებს სხვა და სხვა გვარ ნივთებს სკოლებისათვის, მათ შორის საღებავებს აკვარელისათვის, ფანქრებს, ცარცს და სხვა ინსტრუმენტებს. მუზეუმი აწყობს ექსკურსიებს სხვა და სხვა გვარი კოლექციების შესაკრებათ.

მეორე საფეხურის სკოლასთან მოწყობილია ბუნებისმეტყველების წრე; იკითხება ლექციები, ეწყობა ექსკურსიები ბუნებისმეტყველების და ისტორიული მასალების შესაკრებად.

პედაგოგიური გამოფენა.

ერევანი. 6 ივნისი. 15-დან 20 ივნისამდე პედაგოგიური მუზეუმი ხსნის ერევანში იმ ნივთების გამოფენას, რომელიც დამზადებულია მის სახელოსნოებში.

საგადასახადო კამპანია.

ერევანი. 6 ივნისი. მაისის განმავლობაში არაპირდაპირი გადასახადიდან შემოვიდა 20,717 მილ. მან.

ჰაეროპლანი „საბჭოთა სომხეთი“.

ერევანი. 6 ივნისი. ჰაეროპლანის —„საბჭოთა სომხეთი“-ს ასაშენებლად შემოვიდა 1275 მან. ოქროთი, 8 ლირა და 1,252 მილ. მან. ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

მოსალოდნელია კარგი მოსავალი.

დილიჟანი. 6 ივნისი. დილიჟანიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იქ მოსალოდნელია კარგი მოსავალი.

სათესლე მასალით დახმარება.

გერიუსი. 6 ივნისი. **ზანგეზურში ჩატანილია 26.472 ფუთი სათესლე მასალა გლეხებისათვის დასარიგებლად. ამას გარდა მიღებულია 10.000 ფუთი ხორბალი დამშეულთათვის დასარიგებლად.**

პარტიული ცხოვრება

ქუთაისის პარტკომის უჯრედის მუშაობა.

პარტკომის უჯრედში მუშაობა სასურველ დონეზეა დაყენებული; ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობს უჯრედს, ცდილობს მისი მუშაობის დღითი-დღე გაჯანსაღებას, მასში დისციპლინის განმტკიცებას და უპარტიო მუშებთან კავშირის დაჭერას.

უკანასკნელი მიზნის განხორციელებისათვის უჯრედის კრებები იქცა უპარტიო მუშების ხელმისაწვდომათ, სადაც უკანასკნელნი უკავშირდებიან პარტიის წევრებს და ეცნობიან ჩვენ მუშაობას. არაჩვეულებრივი იყო კრებები, რომლებიც შესდგა 24—31 მაისს მრავალ რიცხოვან უპარტიო მუშების თანდასწრებით (ცეცხლის მქრობელ რაზმის და ხე-ტყის ქარხნის მუშების). დღის წესრიგში იდგა მეტად საინტერესო საკითხი რ. კ. პ. მე-12-ე ყრილობის რეზოლიუციების წაკითხვა-გარჩევა. ამხ. ვ. ბახტაძემ პირველყოვლისა აღნიშნა საერთო ყრილობის მიზანი და მასზე გამოტანილი რეზოლიუციების დადგენილებების მნიშვნელობა.

გარჩეულ იქნება პარტყრილობის რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელზედაც მოხსენება ყრილობაზე გააკეთა ამხ. სტალინმა. ყრილობამ სავსებით მოიწონა ცეკას მუშაობა.

რეზოლიუცია ამხ. ტროცკის მოხსენების ირგვლივ — მრეწველობის შესახებ იქნა წაკითხულ-გარჩეული ამხ. პაპავას მიერ, რომელიც შეჩერდა ამხ. ტროცკის თეზისებზე: მრეწველობის როლზე სოციალისტურ აღმშენებლობაში, გეგმიან მუშაობის საფუძველზე და სხვა.

მიმდინარე კითხვებში იქნა გარჩეული მნიშვნელოვანი ცირკულიარები და განცხადებები.

ქობულეთში.

30 მაისს, ქალაქ ქობულეთში, შესდგა ახალგაზრდა კომკავშირის კრება. კრებაზე დაესწრო 15 წევრი და ბათომიდგან მოსული ოლქის კომკავშირის ინსტრუქტორი ამხ. ი. ცხომელიძე და აგრეთვე რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. გურჯიშვილი. კრება გაიხსნა დღის 12 საათ. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ს. ბილიხოძე და მდივნათ ი. აბზიანიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: ინვალიდებისათვის დახმარების აღმოჩენა, პირველი შაბათობის მოწყობა ქობულეთში კომკავშირის მიერ, რაიკომის ბიუროს დაარსება და მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე ილაპარაკა ამხ. ცხომელიძემ, რომელმაც მოკლე ახსნა-განმარტების შემდეგ მოუწოდა კრებას, რომ ისინიც არ ჩამორჩენილიყვნენ სხვა ორგანიზაციებს და გაეღოთ თავ-თავიანთი წვლილი. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმათ დაადგინა, შეძლების დაგვარათ გაეღოს თავისი წვლილი. შაბათობის მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აბზიანიძემ.

რაიკომის ბიუროს დაარსებაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. გურჯიშვილი, რომელსაც კრება აღტაცებით მიეგება. ამხ. გურჯიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ქ. ქობულეთში რაიკომი, რომელიც დღემდი არ არსებობდა; დღეიდან-კი უკვე ჩაეყარა საფუძველი სისტემატიურ მუშაობას წითელ კომკავშირის წრეში:

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(7 ივნისი)

ჩერვონცები —12,500 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.) —13,050 ათასი
დოლარი (ჩეკები)—3,050 ათასი
ლირა — — —2,120 ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი

(7 ივნისი)
(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯის—6 მ. 65 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 30 კ.; ვერცხლი 84 სინჯით—მისხალი 13 კ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—33 კ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(7 ივნისი)

დიდი მოთხოვნილებაა ჩერვონცებზე, რომლის მიწოდება არ ფარავს მოთხოვნილებას. დანარჩენ ვალიუტაზე ცვლილება არ მომხდარა, გარდა ლირისა, რომელზედაც მოთხოვნილება გაიზარდა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

გოგირდის სიმჟავე 65 გრადუსი, კაუსტიური სოდა, ბოთლები, ფანჯრის მინები, პროდუქცია, რკინა, მზესუმზირას ზეთი, მატყლი, ფხვნილი შაქარი, გერმანული მედიკამენტები, მარილის სინდიკატის პროდუქცია, შპაგატი, რუსული მანუფაქტურა, ფეხსაცმელი „სკოროხოდი“ რუსული ასანთი, მარსელის საპონი, სოხუმის და ლაგოდეხის ფოთოლი თამბაქო.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(7 ივნისი)

დღეს ფასები დაწეულია მარცვლეულზე და პურის პროდუქტზე. მტკიცე ფასია რუსულ ფხვნილ შაქარზე. დანარჩენზე უცვლელია.

ბირჟის მოთხოვნილება.

შპაგატი, მავთული № 14, ფხვნილი შაქარი, ბრინჯი, ქვა-მარილი, თოკი სხვა და სხვა გვარი, მაკარონი, ჩაი, ფოთოლი თამბაქო—სოხუმის და ლაგოდეხის, გოგირდი „ბუდა“, შაბიამანი, ბამბა, მატყლი, ლურსმები, ქინაქინა, ფქვილი 1 ხარისხის, ცხვრის ნაწლევები, ბრეზენტი მოსასხამისათვის, სამუშაო ფეხსაცმელი უმაღლესი ღირსების.

ოფიციალური გარიგებანი.

(7 ივნისი).

დღეს მოხდა გარიგება რუსულ ასანთზე—„ვოლკოვის“ და „ბერეზინის“, ყუთი 1,3 ჩერვონეცი აქციზის გადასახადი გამყიდველის ფრანკო-საწყობი.

სპარსეთის ბამბის გამოყენება

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილების ცნობებით ბამბის თესვის კამპანია ჩრდილოეთ სპარსეთში არა ჩვეულებრივ აღტკინებით მიმდინარეობს. წინასწარი ცნობების მიხედვით წელს ომამდი არსებულ ბამბის სივრცის 60 პროცენტია დათესილი. საშუალო მოსავლის დროს ბამბა მოგროვდება არა ნაკლებ 650 ათას ფუთისა. ნათესების გაფართოვებას ხელს უშლის სათესლე მასალის სიმცირე, განსაკუთრებით ზღვის ნაპირების რაიონში, სადაც სათესლე მასალა იგზავნება უფრო სამხრეთ რაიონებიდან. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს სპარსეთის ბამბას ს. ს. რ. კავშირის მრეწველობისათვის, ბამბის მთავარი კომიტეტი აწყობს სპარსეთში მომავალ მოსავლის ბამბის დიდ პარტიების შესყიდვას. მოლაპარაკება სწარმოებს აგრეთვე იმ ბამბის შესყიდვის შესახებ, რომელიც ამ ჟამად სპარსეთის მთავრობას აქვს. იმის გამო, რომ სპარსეთის ბამბა ვერ არის კარგად გაწმენდილი, ბამბის მთავარ კომიტეტს აზრად აქვს რამოდენიმე ადგილობრივ ბამბის ქარხნების იჯარით აღება.

შეღავათები გასაზიდ საქონელზე.

გასაზიდათ გამზადებულ ბუნებრივ და დამუშავებულ სპირტეულზე, ღვინოზე, ლუდზე, ნავთის ნაწარმოებზე, თამბაქოს ნაწარმოებზე ასანთზე და რეზინის კალოშებზე, რომლებიც კი გაიზიდება საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებიდან თავისუფალია ყოველგვარ გადასახადისაგან, რაც კი სააქციზო უწყების მიერ იყო დადგენილი. აქციზ დაქვემდებარებულ საქონლის შეღავათიანი გაზიდვა შეიძლება ყველა 1 ხარისხოვან საბაჟოებიდან.

ბამბა სპარსეთიდან.

როგორც იუწყება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უმაღლესი კომიტეტის საგარეო ვაჭრობის განყოფილება. რუსეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკა, თავისი წარმომადგენლების შემწეობით, სპარსეთში ჰყიდულობს დიდძალ ბამბას სულ ჩრდილო სპარსეთიდან საფეიქრო წარმოებისათვის მოელიან 650,000 ფუთი ბამბის მიღებას.

მატყლის შესყიდვა საზღვარ-გარედ.

„მატყლი“-ს ამხანაგობამ გერმანიაში შეისყიდა რამდენიმე ასი ათასი კილო (კილო 2 ნახ. გირ). საუკეთესო ხარისხის მატყლი. გერმანია შალეულობის მრეწველობის შემცირების გამო, დაინტერესებულია თავისი ქვეყნიდან მატყლის გაზიდვის საქმით უცხოეთში.

მომავლისათვისაც გაბმულია კავშირი მატყლის შესასყიდად.

მუშკოოპის ფასები.

7 ივნისი.

თეთრი პური—45 ათასი მან. თეთრი ფქვილი 1 ხარისხისა—100 ათ. მეორე ხარისხის ფქვილი—70 ათ. ფხვნილი შაქარი—340 ათ. საპონი „ბაბი“—350 ათ. საპონი ადგილობრივი—380 ათ. „ტოლეს“ საპონი—340 ათ. ასანთი—25-40 ათ. ლობიო—25-35 ათ. მან.

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბათომში).

ხორბალი ყუბანისა—1600-1700. ხორბალი ადგილობრივი—1400-1500. სიმინდი—400-450. ლობიო—600-1000. ფქვილი „კრუპჩატკა“—3600, ფქვილი „არაზმელი“ ადგილობრივი—1800. ნატეხი შაქარი—17500-18000. რუსეთის ნარმა—480-55.

მრეწველობისათვის კრედიტის მიცემის საკითხი

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ წარმოების აღსადგენად, ნედლი მასალისა, ნახევრად ფაბრიკატებისა და სათბობი მასალის შესაძენად საბრუნავ თანხების უქონლობის გამო, საქართველოს მრეწველობა დიდ დაბრკოლებას განიცდის; ის საკუთარ ძალებისა და შესაძლებლობის ამარაა დატოვებული. ამიტომ არა ერთხელ დასმულა საკითხი კრედიტის შესახებ, ურომლისოდაც საქართველოს მრეწველობა ვერ შესძლებს შინა მრეწველობის ფორმებიდან თავის დაღწევას. ამ საკითხის ყურადღება მიაქცია საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელმა ამიერ-კავკასიის ეკონომიურ თათბირზე. ამ ჟამად ს. მ. უ. ს. ეს საკითხი უფრო მკაფიოდ დასვა: ის ცდილობს სამრეწველო ბანკის დაჩქარებით გახსნას, რომელმაც საჭირო კრედიტი, უნდა გაუხსნას საქართველოს მრეწველობას. მაგრამ რადგან სამრეწველო ბანკის გახსნა ცოტა დროს არ მოითხოვს და მრეწველობისათვის კი საშუალებებია საჭირო, ამიტომ ს. მ. უ. ს. შუამდგომლობით შევიდა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში საქართველოს მრეწველობისათვის კრედიტის გახსნის საკითხის დაჩქარებით განხილვისა და 155.925 ჩერვონცების კრედიტის მიცემის შესახებ მრეწველობის გადაუდებელ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების სამმართველოში.

იმის გამო, რომ პურის შემოზიდვა ამიერ-კავკასიაში კერძო პირების მიერ შეწყვეტილია და იმის გამო აგრეთვე, რომ აქამდე გადაუწყვეტელია საკითხი რ. ს. ფ. ს. რ. სასურსათო სახალხო კომისარიატის მარაგიდან ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატისათვის 800 ათასი ფუთი ხორბლის გადაცემის შესახებ, ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ დაინახა ეხლავე შეუდგეს პურის დამზადებას და ამასთანავე დამზადოს ამიერ-კავკასიის წარმოების საქონელი, როგორც ფონდი პურის ოპერაციებისათვის. დამზადების ადგილებთან მუდმივი კავშირის დასაჭერად, ჩრდილოეთ კავკასიაში დაინიშნა ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების სამმართველოს წარმომადგენელი.

ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატში.

ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტების სამმართველოს განყოფილება საქართველოში, სადაც გადაცემული იქნება სურსათის, ფაბრიკატების და საქონლის მთელი რაოდენობა, რომელიც არ შედის სახელმწიფო მომარაგებაში. ამასთანავე ხდება ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს სავაჭრო აპარატის ლიკვიდაცია.

საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო განყოფილებას აზრათ აქვს საქართველოს გლეხთა მეურნეობის ბიუჯეტის გამორკვევა, რისთვისაც მოხდენილი იქნება 13 საბიუჯეტო გამორკვევა საქართველოს უფრო დამახასიათებელ რაიონებში: მევენახეობის რაიონი—კახეთში, მეხილეობის—გორის მაზრაში, სუბტროპიკულ მცენარეების—აჭარაში და სამეგრელოში, მებოსტნეობის—ქუთაისის მაზრაში და მემინდვრეობის—ქვემო სამეგრელოსა და ბორჩალოს მაზრაში.

ამ გამორკვევას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან მისი ცნობები მდიდარ მასალას მოგვცემს ცალცალკე რაიონების ორგანიზაციულ გეგმის შედგენისათვის; გამორკვევის ცნობებს მნიშვნელობა ექნება აგრეთვე თვითეული რაიონების საგლეხო მეურნეობების ტიპზე ნათელი წარმოდგენისათვის. ასეთ მუშაობას კიდევ იმითი აქვს განსაკუთრებული ინტერესი, რომ ის ასეთი სახის პირველ ცდას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის საქმეში.

საქართველო მოსკოვის გამოფენაზე

მევენახეობის და მეღვინეობის განყოფილებაში იქნება მცენარეულობის დაცვის ქვე-განყოფილებაც. აქ მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-მეურნეობის მავნებებთან ბრძოლის ბიურო, რომელსაც განაგებს სპეციალისტი ი. ნაგორნი. გამოფენილი იქნება მცენარეთა დაზიანების ნიმუშები მავნებებთან ბრძოლის მეთოდებით, ცნობები სხვადასხვა ავათმყოფობათა და მავნეების გავრცელებაზე შესახებ საქართველოში და მათთან ბრძოლის შედეგებზე.

მე-4 განყოფილება

მე-4 განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება საქართველოს მეტყეობა მთელი მისი მრავალფეროვნებით. ამ განყოფილებას განაგებენ ს. ი. ბაქრაძე და პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი. აქ ნაჩვენები იქნება კავკასიის ჯიშები გერბარიების, ხის გადანაჭრების, სორტიმენტების, ხისგან ნაკეთებ სხვადასხვა იარაღების, გავრცელების რუკების სახით, გარკვეული იქნება ტყის მარაგი და შესაძლებელი პერსპექტივები. გამოფენილი იქნება სპეციალური მასალა, რომლის დამუშავება შესაძლებელია ჩვენში სარეზონანსო ხის მასალა (მუსიკალურ იარაღებისთვის) საავიაციო მასალა, სადურგლო ფერადი ჯიშები, ხე-ტყე მანქანებისა და იარაღების დასამზადებლად. გარკვეული იქნება ტყის თანამდე (побочные) გამოყენება, ტყე ბაღის მეურნეობა (лесо-садовое хозяйство), ხისგან ქაღალდის და ქიმიურ პროდუქტების დამზადება. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ტყის მეურნეობა (საადმინისტრაციო საქმე, ტყის—მოწყობა, ტყის—დაცვა) და სხვ.

მე-5 განყოფილება.

მე-5 განყოფილება—მესაქონლეობა ჩაბარებული აქვს დოცენტ ა. ტამამშევს. მესაქონლეობა საქართველოში სასოფლო-მეურნეობის ერთი მთავარი დარგთაგანი, რომელიც, განსაკუთრებით მთიულეთის ზოგიერთ ნაწილში, გლეხის მეურნეობის შემოსავლის ერთად ერთ წყაროს წარმოადგენს. ამას გარდა, მსხვილი საქონელი საქართველოს ყოველ კუთხეში წარმოადგენს სასოფლო მეურნეობისათვის დიდ სამუშაო ძალას, და ალბათ, ადგილობრივი პირობების გამო კიდევ დიდხანს დარჩება იგი ასეთად, რადგან სხვა წყარო სამუშაო ძალისა ჯერ-ჯერობით მიუწდომელია. საქართველოს მცხოვრებთ საუკუნეების განმავლობაში გამოუმუშავებიათ მსხვილ რქოსან საქონლის ჯიში, შეუგუებიათ იგი რელიეფის ადგილობრივ პირობებით და მკაცრი ცხოვრებისათვის. შერჩევის სათანადო გაუმჯობესებით, საუკეთესო ჯიშების შეუღლებით და საკვების გაუმჯობესებით შეიძლება მიღწეული იქნეს დიდი ნაყოფიერება, როგორც რძის მოპოვების, ისე შრომის უნარიანობის თვალსაზრისით, ცხვრები, თხები თავიანთი მატყლის, ხორცის და რძის ღირსებით დიდი ინტერესის აღმძვრელი არიან და ამ მხრივ კიდეც აქვთ სახელი მოხვეჭილი მსოფლიო ბაზარზე.

თხილეულობის და რკოს დიდი რაოდენობის გამო, მეღორეობა ჩვენში დიდი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ც ამავე დროს დიდ შრომა გარჯას არ მოითხოვს. მსხვილ რქოსან საქონლიდან გამოფენილ იქნება ხევსურული, ფშაური, ჯიშები, როგორც რძის დიდ რაოდენობის მომცემი, ხოლო თათრული (თარაქამის) და მეგრული საქონელი, როგორც მუშა—პირუტყვი.

მერძეობა წარმოდგენილი იქნება მის თანამედროვე ვითარებით და აგრეთვე იმ პერსპექტივებით, რომელიც მოსალოდნელია მერძეობის გაუმჯობესების დროს. მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ საქმეში კოოპერაცია. მეცხენეობის ექსპონატების დამზადება მინდობილი აქვს მეცხენეობის განყოფილების გამგეს ვ. წულუკიძეს. გაგზავნილ იქნება გამოფენაზე 4 ცხენი ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშისა. ამ დარგის შესახებ წარდგენილი იქნება შესაფერი დიაგრამები და ანგარიშები.

მე 6 სარეწავო განყოფილება—მეთევზეობა და მონადირეობა, ცხადია სუსტად იქნება გამოფენილი რადგან ამ სარეწაოებმა სათანადო ფეხი ვერ მოიკიდეს ჩვენში.

მე-7 სავეტერინარო განყოფილება წარადგენს რამოდენიმე დიაგრამას და ცნობებს ჩვენში საქონლის ჭირისა და სხვა ეპიზოოტიის გავრცელების შესახებ.

მე 8 სამიწადმოქმედო პროდუქტების გადამუშავების და შენახვის განყოფილება გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს განყოფილებათა მიერ, რომლებიც ამზადებენ ექსპონატებს ინჟინერ მ. ტროიცკის ხელმძღვანელობით. ამავე განყოფილებაში აქტიურ მონაწილეობას ღებს კოოპერაცია.

მე-9 მესაქონლეობის პროდუქტების განყოფილება იქნება გამოფენილი სუსტად. ამ განყ-ბაში პირველ ადგილს დაიჭერს რძის პროდუქტები. მე-9 განყ-ბაში ფართო მონაწილეობას იღებს მწარმოებელი და მომხმარებელი კოოპერაცია. დანარჩენ განყოფილებათაგან ყველაზე საინტერესო იქნება შინაწარმოება. (Кустарный).

სასოფლო სამეურნეო მუშაობას ბუნებრივმა შეზღუდვამ ზამთარში, განსაკუთრებით ხანგრძლივმა მთის ადგილებში, გამოიწვია ადგილობრივ მკვიდრთა შორის შინა წარმოების ფართოდ გავრცელება, რომელიც შემდეგ რამოდენიმედ ჩაკლა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობამ. ამ უკანასკნელის დაზიანებამ და შეფერხებამ ახლა კვლავ გამოაცოცხლა მიმქრალი შინა-წარმოება, რომელიც პირველ ხანებში აკმაყოფილებს მოსახლეობის ადგილობრივ მოთხოვნილებას და ამავე დროს ბაზარსაც ჰპოულობს. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან შინა წარმოება ბევრს ხარჯს არ მოითხოვს და მოსახლეობის იზოლიაციის გამო, ალბათ კიდევ დიდხანს იარსებებს. აუცილებელია დახმარება, ხელის შეწყობა, ხელმძღვანელობის გაწევა შინა-მწარმოებლებისათვის, საჭიროა მათი შეკავშირება გამოფენაზე უხვად იქნება წარდგენილი სხვადასხვა გვარი შინ დამზადებულ ნაწარმოებზე და აგრეთვე საჭირო ცნობები მათ შესახებ.

მეოჯახეობის და ყოფა-ცხოვრების განყოფილება გამოაფენს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველი გლეხის კარ-მიდამოთა 5 მოდელს საოჯახო ავეჯეულობით და სასოფლო-სამეურნეო მორთულობით. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს გ. ჩურსინი.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს განყოფილება გამოფენაზე საერთოდ მოგვცემს სასოფლო-მეურნეობის სრულს სურათს, ცხად ჰყოფს ახლობელ პერსპექტივებს და შემოსაზღვრავს იმ კალაპოტს, რომელშიდაც უნდა განვითარდეს სასოფლო-მეურეობის ტეხნიკა. გამოფენა მოგვცემს დიდ მასალას სახელმწიფო სასოფლო-მეურნეობის პოლიტიკის გამოსამუშავებლად მშრომელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. საჭიროა მხოლოდ, რომ თვით საქართ. მოსახლეობამ თავის თვალით იხილოს იქ გამოფენა. საქართველოს საგამოფენო კომიტეტს განზრახვა აქვს გაგზავნოს საქართველოდან 2,500 კაცი —ექსკურსანტი, რომლის მთავარ კონტინგენტს გლეხები უნდა წარმოადგინდენ.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

გაზაფხულის ხორბლეულობის თესვის კამპანია.

გორის მაზრა

მიმდინარე წელს გაზაფხულის ხორბლეულობა მაზრაში დაითესა თავის დროზე (60 პროც.), თუმცა არის ზოგან ჩვენება, რომ ხორბლეულობა დათესილა გვიან, მაგრამ ეს შეადგენს გამონაკლისს. თესვის დაგვიანების მიზეზად, რასაც ქონდა ადგილი მხოლოდ ზოგიერთ ალაგას, მეურნეები ასახელებენ ცუდ ამინდს გაზაფხულის ხორბლეულობის თესვის დროს. აგრეთვე მუშა საქონლის ნაკლებობა ხელს უშლიდა დროზე დათესვას. სოფ. კარბიდან იწერება კორესპონდენტი: „თესვა დაგვიანდა უსაქონლობის გამო, უხარო კაცი უცდის ხარ-კამეჩის პატრონს, რომელიც ფასით დაუფარცხავს, როცა მოიცლის, მოიპრიახებს“. ეს მოვლენა მეტად ხშირია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

ნათესის სივრცე მაზრაში არის გადიდებული 8 პროც. 1922 წ. შედარებით. ეს გადიდება უნდა მივაკუთნოთ ხორბალს და ქერს, ვინაიდგან იმ დროს, როდესაც ახეტა დგებოდა, სიმინდის თესვა არ იყო დამთავრებული. ნათესის სავრცე გადიდდა უმთავრესად გასულ წლის შემოდგომის ნათესისათვის გადადებულ მიწის ხარჯზე, ვინაიდგან შემოდგომაზე, როგორც ყველგან, გორის მაზრაშიც თესლის ნაკლებობის გამო არ იყო ყველა დახნული მიწები დათესილი.

სათესლე მასალა მიმდინარე წელს იყო შემდეგი ხარისხის: სიმინდი საშუალოზე კარგი (4), ხორბალი—საშუალო (3,5) ქერი—საშუალო (3,7).

მცხოვრებთა დიდ ნაწილს (80 პროც.) უსარგებლებია საკუთარი თესლით, დანარჩენი კი შეუძენია კერძო პირებისაგან ან აუღიათ სესხათ მთავრობისაგან.

მაზრაში სიმინდი წელს საშუალოდ ამოვიდა მე-12 დღეს, ხორბალი—მე-11 და ქერი—მე-12 დღეს.

ამოსული ჯეჯილი როგორც პური, აგრეთვე ქერი იყო თანაბარი. აპრილის თვის ბოლოს მაზრაში სიმინდის ნათესის მდგომარეობა იყო საშუალო (3,3), ხორბალი—საშუალოზე კარგი (4) ქერი—საშუალო (3,5).

კ. რ.

ახალქალაქის მაზრა.

გაზაფხულის თესვა დამთავრდა თუმცა 2—3 კვირით გვიან ნორმალურ დროსთან შედარებით. დაგვიანება გამოიწვია ზამთრის სიცივეების გახანგრძლივებამ. მცხოვრებთ ეშინიათ, რომ ხორბლეული ვერ მოასწრებს მომწიფებას. მაგრამ ეს შიში ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მიუხედავათ იმისა, რომ ეს მაზრა შარშან საგრძნობათ დაზარალდა სეტყვისაგან, წრეულს დაუთესავი ადგილი არ დარჩენილა და თესვის კამპანიაც კარგათ ჩატარდა.

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ თესვის ადგილობრივი კომისიის საშვალებით თავის დროზე დააკმაყოფილა მთელი მოთხოვნილება სათეს მასალაზე.

წასულ წელთან შედარებით ნათესების სივრცე გაიზარდა. მოსავალს საშუალოზე უკეთესი პირი უჩანს, სეტყვა არ ყოფილა.

ვ. ივეცი.

სიღნაღის მაზრა.

გაზაფხულის თესვის კამპანია დამთავრდა. მოთხოვნილება სათესლე მასალაზე სავსებით იქნა დაკმაყოფილებული.

ამ წელს ხორბლეულის ნათესების სივრცე წარსულ წელთან შედარებით საგრძნობათ გაიზარდა. ნათესები ნაწილდება ასე: შემოდგომის ნათესები—45 პროც. გაზაფხულის ხორბლეული—30 პროც. სიმინდი და ფეტვი—25 პროც. მთელ მაზრაში, გარდა იმ ადგილებისა, სადაც სეტყვა მოვიდა, ნათესების მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია.

14 მაისს სეტყვამ გურჯაანის რაიონში სოფლებში: ბაკურციხე, ვეჯინა, ქეჩა და კოლაკი გააფუჭა ნათესების 70 პროც. სოფელ ჩალაუბანში—40 პროც. უჯალაზნის რაიონში: სოფლებში მელაანი, ზიარი, ფხოველი, არაშენი და კოდალო სეტყვამ გააფუჭა 900 დესეტინა ნათესი. სეტყვით გაფუჭებულ ადგილებში დაითესა სიმინდი და ფეტვი.

წნორის წყალის რაიონში ანაგამდი სამიათასამდე დესეტინა ნათესში შემჩნეულია კუტი-კალია. ბრძოლა კალიასთან სწარმოებს ცენტრიდან გამოგზავნილ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით.

საქონლის და ფრინველის ახალი ავადმყოფობანი

შინაურ საქონელს და ფრინველს აუარებელი მტერი ყავს სხვა და სხვა სენების სახით. ჩვენი მეურნე კარგათ იცნობს მსხვილფეხ საქონლის ჭირს, ქათმის ჭირს, ღორის ჭირს, ციმბირის სენს, რომელიც ყველა გვარ შინაურ ცხოველს ემართება, აგრეთვე ადამიანსაც.

ამ უკანასკნელ ოცი-ოცდაათის წლის განმავლობაში ზემოხსენებულ სატკივრებს დაემატა კიდევ ახალი ავადმყოფობანი.

ეს ახალი ავადმყოფობანი მეცნიერებმა მონათლეს „ტროპიკულ სენებათ“, რადგან ისინი უმეტესათ ცხელ და ჭაობიან ადგილებში ჩნდებიან.

ტროპიკულ ავადმყოფობებს ეკუთვნიან: **ტროპიკული პიროპლაზმოზი, ტროპიკული ტრიპანოზომოზი და ტროპიკული სპიროხეტოზი.**

საერთო დამახასიათებელი თვისება ამ სენებისა ის არის, რომ მათი გამომწვევი არის უჩინარი მუქთახორა ცხოველი, რომელიც ცხოველთა სამეფოს კიბის უმდაბლესს საფეხურს ეკუთვნის და ჩვენი საქონლის და ფრინველის სხეულში შეიჭრება ხოლმე არა პირდაპირ, არამედ სხვა ცხოველთა, უმთავრესათ ბუზების, კოღოების და ტკიპების საშვალებით.

როგორც აღმოჩნდა, ადამიანს ერთგვარი კოღო „ანოფელეს“-ი სდებს ციებ-ცხელებას კბენით, ასევე სდებს შინაურ საქონელს „პიროპლაზმოზს“ სხვა და სხვა გვარი ტკიპები, „ტრიპანოზომს“—სხვა და სხვა გვარი ბუზები, „სპიროხეტოზს“ სდებს შინაურ ფრინველებს აგრეთვე სხვა და სხვა გვარი ტკიპები.

სენის გადადება ხდება შემდეგნაირად: სენის ანუ უჩინარ მუქთახორას გადამტანელი მწერი, ტკიპი იქნება ის, ბუზი თუ კოღო, როცა დააჯდება ავადმყოფს, სწოვს მის სისხლს, რომელშიაც იმყოფება უმთავრესად ეს მუქთახორა ცხოველი, შემდეგ იგივე მწერი, როცა კარგა მყოფს დააჯდება და უკბენს, ნერწყვოთი შეაქვს კარგა მყოფის სისხლში ეს მავნე უჩინარი არსება.

ეს საკმარისია, რომ სალი ცხოველი გახდეს ავად იმავე ავადმყოფობით.

რით ხასიათდება ადამიანის ციებ-ცხელება (მალარია) და შინაურ ცხოველთა და ფრინველის ტროპიკული სენები?

უჩინარი არსება, სხეულში შეჭრისავე უმალ, შედის სისხლში, რომლითაც ის იკვებება მთელ თავის სიცოცხლეში. სისხლში ის ანადგურებს ცხოველის სიცოცხლისათვის ყველაზე უფრო საჭირო ნაწილებს, წითელ ბურთულებს, წითელ ბურთულების განადგურებით ცხოველს ეკარგება სალი ფერი, იღებს მკრთალს, მოყვითალო-მწვანე ფერს, ეკარგება ჭამის მადა, უსივდება ღვიძლი და ელენთა, სიცხე დროგამოშვებით ნელდება, ხდება და ბოლოს, ძალღონე გამოლეული, კვდება. საქონელს ხშირათ ამ ავადმყოფობის დროს აჩნდება სისხლნარევი შარდი, რის მიზეზითაც ამ ავადმყოფობას ხალხმა უწოდა „სისხლის შარდის“ ავადმყოფობა.

სხვა და სხვა გვარ ტროპიკულ ავადმყოფობას იწვევს სხვა და სხვა გვარი უჩინარი არსება: ამერიკულ პიროპლაზმოზის ანუ ტეხასის ციებ-ცხელების და ევროპიულ პიროპლაზმოზის გამომწვევი მუქთახორა არსებაა რგვალი, რგოლის ან დამსხლის მოყვანილობისა; ტრიპანოზომის გამომწვევი არსება ტარის მოყვანილობისაა, ხოლო სპიროხეტოზის გამომწვევი ბურთის მზგავსია.

პირველათ ტროპიკული სენები აღმოაჩინეს აფრიკის და ამერიკის ჭაობიან, დაბლობ, ცხელ და ტყიან ადგილებში, საცა მრავლათ მოიპოვება ბუზი, კოღო და ტკიპი. ასეთი ადგილებია, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის სამხრეთი ნაწილი, მეხიკის უბის ნაპირები, საცა მდინარე მისისიპი ჩადის ზღვაში, აგრეთვე აფრიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირების დაბლობები, საცა მდინარე ზამბეზი და ნიგერი ერთვიან ზღვებს, ასეთივეა ევროპაში დუნაის შესართავთან დაბლობები, რუმინეთში და ვენგრიაში. ჩვენ საქართველოში ასეთ ალაგებათ ჩაითვლება ალაზნის ხეობა, რიონის, ენგურის, ყვირილის, ცხენის წყლის, მტკვრის და არაქსის შესართავი ადგილები.

ამ ტროპიკულ სენების ჩვენში არსებობა დაამტკიცეს ათი-თხუთმეტი წლის წინეთ ზეითლერმა ჯუნკოვსკიმ და ლუსმა და ზარალი, რომელსაც აყენებდენ ეს სენები ჩვენს საქონელს და ფრინველს, უეჭველია, დიდი უნდა იყოს, როგორც დიდია ის ზარალი, რომელსაც ციებ-ცხელება აყენებს ჩვენ ხალხს.

საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და ჩრდილო-ამერიკის მეცნი-

მუშათა ცხოვრება

მოქ. გასპარიანცის ხეტყის ქარხანაში.

დასახელებული ქარხანა ეკუთვნის კერძო მწარმოებელს მოქ. გასპარიანცს. ქარხანაში მუშაობს სულ ათი კაცი, ამათგან ორი კანცელარიაში და ზედამხედველის თანამდებობაზე.

მუშებსა და პატრონს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება ჯერ-ჯერობით კარგად სრულდება მხარეთა მიერ. მუშები კმაყოფილი არიან ჯამაგირების თავის დროზე მიღებით, ნორმალურ საათებში მუშაობით და სხვა.

ამავე მუშათა კულტურული მდგომარეობა, სამწუხაროდ, მეტად ცუდია: არც ერთმა აქაურმა მუშამ არ იცის წერა-კითხვა. მათ არც ხალისი აქვთ, რომ რამე შეისწავლონ, რადგან კითხვა არ იციან, არც გაზეთები მოსდით.

სხვა ალაგას იშვიათად ნახავთ მუშებს, რომლებშიც ეგრე მიძინებული იყოს ცოდნა-განვითარების წყურვილი.

ხსენებული მუშების ასეთ მდგომარეობის გამო საყვედურის ღირსია ამავე მუშათა წარმომადგენელი დელეგატი, რომელსაც არ აქვს შესაფერისი ღონისძიებანი ნახმარი მუშების გასათვითცნობიერებლად.

ქარხნებში მუშათა კომიტეტები და დელეგატები მოწოდებული არიან იმისთვის, რომ მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და აგრეთვე მათი გონებრივ-განვითარებას ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ. მიუთითებთ რა ამ დაუშვებელ დეფექტებზე პროფკავშირს, ვიმედოვნებთ, რომ მათი სალიკვიდაციოდ იქნება მიღებული სათანადო ზომები.

მუშკორი ჩხმელი.

რკინის გზის აფთიაქში.

რკინის გზის საავადმყოფოს ამბულატორიაში მოთავსებულია რკინის გზის აფთიაქი. გარეგნობით ეს აფთიაქი არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ როდესაც შეხვალთ შიგ და დააკვირდებით იქაურ მუშაობას, მაშინ წარმოგიდგებათ პატარა ფაბრიკა, სადაც გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. ამ აფთიაქში მზადდება დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე რვაასიდან-ათასამდე რეცეპტით გამოწერილი წამლები. აფთიაქის შტატი განისაზღვრება 16 კაცით. ამათ შორის რვა ასისტენტია, რომელთაც უხდებათ დღეში არა ნაკლებ ასი რეცეპტის შესრულება, დანარჩენები კი მომზადებულ წამლებს სიგნატურებით ამთავრებენ. აქ შრომა დიდია; სამუშაოს ყველანი კეთილსინდისიერად ეკიდებიან, მაგრამ ზოგჯერ ავადმყოფებს და აფთიაქის მოსამსახურეთა შორის წამლების მიღების და მიცემის დროს აქ ხშირად უკმაყოფილებასაც აქვს ადგილი. ამას მიზეზი ერთმხრივ —ეს აუარებელი რეცეპტებია, და მეორე მხრივ წამლების შუშების უქონლობა. ამიტომ, ვიდრე აფთიაქს შუშებით უზრუნველყოფდეს რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება, საჭიროა ამბულატორიის ექიმებმა წამლების გამოწერის დროს აცნობონ ავადმყოფს, რომ მომზადებულ შუშით მიიტანონ რეცეპტი აფთიაქში. საჭიროა აგრეთვე რკ გზ. საავადმყოფოს განმანაწილებელ მეექვსე კაბინეთმა ბიულეტენებთან ერთად ყველა ავადმყოფებს მოსთხოვოს საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ის ნამდვილად რკინის გზის მოსამსახურეა. ამით რეცეპტების რიცხვი შემცირდება და ეგრედ წოდებულ „მამიდაშვილობასაც" სამუდამოდ მოეღება ბოლო. ვინაიდან რკინის გზის აფთიაქის დეფექტები მხოლოდ აქედან გამომდინარეობს და როცა ამბულატორიის ექიმები, მეექვსე განმანაწილებელი კაბინეთი და ჯანმრთელობის განყოფილება მიიღებენ შესაფერ ზომებს, მაშინ რეცეპტების რიცხვიც შემცირდება, აღარც დეფექტებს ექნება ადგილი და არც რაიმე უკმაყოფილება დაიბადება ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა და აფთიაქის მოსამსახურეთა შორის.

მუშ-კორი გ. ჩარხიშვილი.

ნაძალადევის თეატრში.

კვირას, 3 მაისს, თბილისის 1 უბნის პროფკავშირთან არსებული კულტგანყოფილების დრამატიული დასის მიერ პავლე ფრანგიშვილის საბენეფისოდ დადგმულ იქნა აკაკი წერეთლის პიესა: „თამარ ცბიერი".

მუშათა თეატრებს შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ნაძალადევის თეატრს. აქ ნახავთ თქვენ და დაკმაყოფილდებით იმით, რომ თვით მუშის შვილები, დები და დედები იღებენ წარმოდგენებში მონაწილეობას და ესწრებიან მათ.

აქაური სცენიდან გადმოცემულს მუშები დიდის ყურადღებით ექცევიან. კერძოდ ისინი დიდად აფასებენ ამხ. პავლე ფრანგიშვილის ღვაწლს, და გასაკვირიც არ არის, რომ რკინის გზის მუშებმა თავიანთი საყვარელი უძღვნეს მუშა-მსახიობს.

მუშათა შორის პავლე ფრანგიშვილს პირველი ადგილი ეკუთვნის იმისთვის, რომ მან მოამზადა ახალი კადრი მუშა-მსახიობთა. ყველა ცეხებიდან გამოიყვანა მან თითო მუშა და შეასწავლა მათ ხელოვნება და სხვა. ამ დღეს კი მან იშვიათი ნიჭი გამოიჩინა, ის იყო პიესის დედა ბოძი „გოჩა" და მისი სულის ჩამდგმელი. წარმოდგენის შემდეგ იყო მილოცვები. აგრეთვე სიტყვაც წარმოსთქვა თეატრის გამგემ რუბენ დანტუროვმა, რომელმაც თავისი ხელით გაკეთებული სურათი მიართვა პ. ფრანგიშვილს.

მუშკორი ვ. რონიშვილი.

მუშათა ქრონიკა.

— **რუსეთის კურორტები ქართველ მუშებისათვის.** საბჭოთა რუსეთის ჯანსახკომმა საქართველოს მუშებს თავის სახელმწიფო კურორტებზე დაუთმო ადგილები,—რომლის რაოდენობის გამოსარკვევად სპ. პროფკავ. საბჭოს სეკრეტარიატის დავალებით რუსეთში იგზავნება ამხ. ელბაქიანი. ამავე დროს გადაწყვეტილია ჯანსახკომის ქვე-განყოფილების საშუალებით შეამოწმონ აგარაკებზე გასაგზავნი მუშები.

— **დასასვენებელ სახლების ფონდის გაძლიერებელი კამპანია.** მაისის განმავლობაში ჩატარდა კამპანია დასასვენებელ სახლების და აგარაკ „არაზინდოს" ფონდის გასაძლიერებლად. კამპანია საუკეთოდ ჩატარდა, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის ფარგლებში. შეგროვილია დიდძალი თანხა, რომლის ჯამი გამორკვეული იქნება ახლო მომავალში.

— **ჩათახის მუშები წითელ დაფაზე.** საქ. პროფ. კავ. საბჭოს სეკრეტარიატმა აუცილებლად აღიარა ჩათახის მუშების წითელ დაფაზე აღნიშვნა, რასაც საბოლოო სანქციას მისცემს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

— **მუშების 300 ბავშვი აგარაკზე.** პროფ. საბჭოს კულტგანყოფილება ზაფხულის სეზონზე აგზავნის კოჯორში 300 ბავშვს, პროფკავშირების წევრთა შვილებს. გასაგზავნ ბავშვების კავშირებზე გაწესრიგება უკვე მოხდა. ბავშვები აგარაკზე გაიგზავნებიან საექიმო გასინჯვის შემდეგ.

— **მოწაფეების მიღება მუშათა ფაკულტეტზე.** 6 ივნისს შესდგა ამხ. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტ.-ინსტიტუტის შენობაში სამანდატო კომისიის სხდომა მუშათა ფაკულტეტზე მსმენელთა ახალ კადრის მომავალ სამოსწავლო წლისთვის მიღების შესახებ.

ერთ დიდი ღვაწლი მიუძღვით ხსენებულ სენების კვლევა-ძიების საქმეში, აფრიკის ახალშენებში ინგლისის და გერმანიის მთავრობებს დაარსებული აქვთ სამეცნიერო ინსტიტუტები ტროპიკულ სენთა შესასწავლათ და მუდმივ მუშაობენ იქ სამეცნიერო ექსპედიციები.

მაშინ, როცა სხვა სახელმწიფოები აუარებელ ხარჯს ეწევიან, ოღონდ დაიფარონ შინაური საქონელი და ფრინველი განადგურებისაგან, ჩვენს სამეურნეო ქვეყანას, სადა ცხოვრების უმთავრეს დასაყრდნობს შეადგენს მესაქონლეობა და მეურნეობა, ერთი სასწავლებელიც არ მოიპოვება, რომ საქონლის და ფრინველის სატკივრები შეისწავლებოდეს და იკვლევოდეს.

ვგონებთ, დროა ამ საკითხზე დაფიქრდებოდნენ ყველა ის პირნი და დაწესებულებანი, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამ საგანზე ზრუნვა.

საჭიროა დაარსდეს ადგილობრივ უნივერსიტეტში ვეტერინარ-ზოოტექნიური ფაკულტეტი ტროპიკულ ავადმყოფობათა შესასწავლ კათედრით.

მ—ლი.

აჭარისტანის შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობა

(იანვრიდან მაისამდე).

შრომის ბირჟა.

ა. წ. 1-ლ იანვარს შრომის ბირჟაში ირიცხებოდა 1469 კაცი.

იანვრის თვის განმავლობაში მოთხოვნილებაა სამუშევარზე გაგზავნისა—164 კაცის. მოთხოვნილება სავსებით იქნა დაკმაყოფილებული.

თებერვლის თვის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილია 655 კაცი; მოთხოვნილება იყო 201 კაცის, რომელიც სავსებით იქნა დაკმაყოფილებული.

მარტის თვის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილ იყო უმუშევარნი 762 კაცი, მოთხოვნილება იყო 259 კაცისა, რომელიც იქნა დაკმაყოფილებული.

აპრილის თვის განმავლობაში სწარმოებდა უმუშევრობის გაწმენდა და ჩაწერა ხდებოდა მხოლოდ კავშირის უმუშევარ წევრთა. თვის განმავლობაში ჩაეწერა 101 კაცი.

მოთხოვნილება იყო 227 კაცზე.

მაისის თვის განმავლობაში სამუშაოზე გაიგზავნა 90 კაცი. უმუშევართა გაწმენდა ეხლაც გრძელდება. შედეგები ჯერ არ არის გამორკვეული. 31 მაისისათვის დარჩენილია აღრიცხვაზე 1.830 მამაკაცი და 777 დედაკაცი, სულ 2607; მათში 184 მოზარდია.

როგორც სჩანს ზევით მოყვანილ რიცხვებიდან, უმუშევართა რიცხვი მეტათ იზრდება, რაც გამოწვეულია, ერთის მხრით, შტატის შემოკლებით სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებაში და აგრეთვე მრავალი კერძო წარმოებათა ლიკვიდაციით; მეორეს მხრით ვაჭრობის შეჩერებამ დიდათ შეამოკლა ყველგან მუშა-მოსამსახურენი, რომლებმაც მოიყარა თავი შრომის ბირჟის გარშემო სამუშევარის მოლოდინში. შრომის განყოფილების მიერ იყო მიღებული შემდეგი ზომები: ზედმეტი სამუშაოს წინააღმდეგ ბრძოლა, სადაც ეს მოსახერხებელი იქნებოდა და მათ ადგილზე გაგზავნა მორიგ უმუშევრებისა. ჩაქვში გაიგზავნა 100 უმუშევარი, მუგანში სამუშევარზე გაიგზავნა 505 კაცი; მიღებულია ცენტრიდან სამგზავრო ლიტერები, რომლებითაც იგზავნება უმუშევრები მათი წინანდელ ბინადრობის ადგილზე.

მოსკოვში გაიგზავნა 28 კაცი; ბაქოში—28 და ზღვის სხვა და სხვა ქალაქში—35. გატარებული იქნა უმუშევართა დაზღვევა; გახსნილია უმუშევართათვის სასადილო, საიდანაც უმუშევრებს ეძლევათ სადილი 100 ათას მანეთად; მიღებულია ზომები უმუშევართათვის ბინის გამოსაძებნად; ახლო მომავალში გაიხსნება მათთვის საპირფარეშო: გაგზავნილ იქნა ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გასაყვანად 100 კაცი. სწარმოებს ჩაწერა სამშობლოში წამსვლელთათვის.

საექსპერტო კომისია.

გამოცხადდა გამოცდებზე 382 კაცი, მათში გამოცდები ჩააბარა 350, ვერ ჩააბარა—32.

დაზღვევა.

სულ ოთხი თვის განმავლობაში დაზღვეულია 792 კაცი.—უარი ეთქვა 152 კაცს.

საკონფლიქტო ქვე-განყ.

საკონფლიქტო კომისიას ქონდა 48 სხდომა, გარჩეულ იქნა 121 კონფლიქტები; მათში სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებათა 36; მომჩივანთა რიცხვი—67. მუშა-მოსამსახურეთათვის მისჯილი თანხის რაოდენობა უდრის 736.527,000 მან. და 402 თათრულ ქაღ. ლირას.

შრომის დაცვის ქვე-განყ.

შრომის დაცვის ინსპექტორის მიერ ამ ხნის განმავლობაში მოხდენილ იქნა პირველი გასინჯვა 113; განმეორებითი 25;—მორიგი 85, სულ 223.

4 თვის განმავლობაში მოხდენილ იქნა 63 გასინჯვა. სანიტარული წესების დარღვევა მოხდა 26-ჯერ. უბედური შემთხვევა—4, მათში სასიკვდილო—1.

პროფკავშირებში

სახალხო გამოკვების კავშირში.

დელეგატების არჩევა.

სახალხო გამოკვების კავშირმა აირჩია დელეგატებად სრულ. საქართ. პროფკავშირთა მესამე ყრილობაზე დასასწრებლად შემდეგი ამხანაგები: არჩვაძე, უნგიაძე, ნოვრუზოვი და რაზმაძე, კანდიდატად—ამხ. ჯიქია.

ფინანსიური საკითხი.

კავშირმა შუამდგომლობა აღძრა პროფსაბჭოს წინაშე, რომ მან ნება დართოს ერთდროულად დაბეგროს მოსამსახურენი—კავშირის ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შინაური მოსამსახურენი გადაიხდიან 20 კაპ. ოქროთი. მუშა-მოსამსახურენი სატარიფო განკვეთის მიხედვით 50 კაპ.—2 მანეთამდე ოქროთი.

პროფდისციპლინა.

კავშირმა საქალაქო ადგილკომთა ყრილობაზე გამოიტანა დადგენილება: მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება პროფდისციპლინას და ამის დამრღვევლნი მისცეს პასუხისგებაში.

მელითონეთა კავშირში.

რადიო-ტეხნიკოსები.

მელითონეთა კავშირმა დაადგინა: მხარი დაუჭიროს იმ რადიო-ტეხნიკოსებს, რომელნიც ცდილობენ დაარსონ ტფილისში რუსეთის რადიო-ტეხნიკოსთა საზოგადოების განყოფილება.

კულტგანყოფილების მუშაობა.

კულტგანყოფილებამ მაისში მოიწვია კულტკომისიების საქალაქო ყრილობა. მოაწყო ლექციები მუშებისთვის საყურადღებო პოლიტიკურ თემებზე, გამართა წარმოდგენები და მიტინგები.

კულტწრეები.

კავშირის კლუბებში არსებობს კულტწრეები. ასე მაგალითად, არსებობენ ქართულ-რუსული დრამატიული წრეები. გახსნილია მუსიკალური სტუდიაც, სადაც სწავლობენ კავშირის მუშების შვილები.

უმუშევართა მდგომარეობა.

მაისის თვეში კავშირში უმუშევარნი ირიცხებოდა 581 კაცი, ამავე თვეში კავშირმა დახმარება გაუწია უმუშევრებს ფულის და ფართლეულობის მიცემის სახით. ამ ჟამად კი კავშირი ჰქმნის უმუშევართა მტკიცე ფონდს.

მუშების დაზღვევა.

კავშირის ყველა წევრი—მუშები დაზღვეულნი არიან დამზღვევ კასაში. მუშებს ეძლევათ წამლები—მედიკამენტი. უნარ დაკარგულებს კი ფულის სახით მუდმივი დახმარება.

შვებულებები.

კავშირის შრომის დაცვის განყოფილებამ შვებულებები მუშებს მისცა 15 მაისიდან. პირველი რიგი უკვე გაგზავნა აგარაკზე დასასვენებლად. შვებულებების დრო განსაზღვრულია სპეციალურ კომისიის მიერ.

საკურორტო სამმართველოში

სურსათის მომარაგება აგარაკებისათვის.

კოლლეგიამ წინადადება მისცა სამეურნეო განყოფილების გამგეს შარაშენიძეს საჩქაროთ შეიძინოს დამატებით აგარაკებისთვის 100 ცალი ლეიბი, თეთრეული ზეწრებისათვის და სხვა აუცილებელი საგნები. მასვე ევალება მოელაპარაკოს მ. გ. ინსპექციას ხორციეულობისა და პურის მარაგის აგარაკებისთვის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების საბოლოო ჩამოყალიბებაზე

დიდი მატორის ნავი შავი ზღვის აგარაკებისთვის.

კოლლეგიამ გადასწყვიტა კერძო პირისაგან ფულად ან ხე-ტყეზე გადაცვლით შეიძინოს დიდი მატორის ნავი, რომელიც 60 კაცს იტევს, შავი ზღვის სანაპიროებზე გამოსასვლელად.

ბათომის პლიაჟისათვის.

ბათომის ზღვის პირის მოსაწყობათ კოლლეგიამ დამატებით გადასდო 500.000.000 მანეთი ა. კ. ბონებით.

ავტომობილი საკურორტო სამმართველოსთვის.

საკურორტო სამმართველომ თავის საჭიროებისთვის შეიძინა ერთი მსუბუქი ავტომობილი „კომიკის" სისტემის.

ბორჯომისათვის.

სამრეწველო-საექსპლოატაციო განყოფილებამ ბორჯომში მოაგარაკეთა საჭიროებისთვის გაგზავნა სატვირთო ავტომობილი „დეიმლერი".

წყალტუბოსათვის.

ინჟ. ბუზილი იგზავნება წყალტუბოში ტეხნიკურ მუშაობის საწარმოებლად და ტეხნიკურ აპარატის შესაქმნელად, რისთვისაც მიეცა 3 მილიარდი ა. კ. ფულის ნიშნებით.

ცნობების წიგნაკი კურორტების შესახებ.

კურორტ. შესახებ ცნობების წიგნაკის გამოსაცემად კოლლეგიამ გადასდო 200 მანეთი ოქროთი და ამავე დროს დაავალა ექიმს ზანდუკელს შეაგროვოს მასალა ცნობების დიდი გამოცემისათვის.

სამეურნეო განყოფ.

კოლლეგიამ დაავალა შარაშენიძეს შეიმუშავოს კურნალების, სასტუმროების, დუქნების კერძო პირებზე იჯარით გაცემის გეგმა.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **სავაჭრო-სამრეწველო აღწერისათვის.** ა/კ. სახალხო კომისართა საბჭომ ცენტრალურ სტატისტიკურ მმართველობას სავაჭრო-სამრეწველო აღწერისათვის გადასცა 3 მილიარდი მან. 2 მილიარდი აზერბეიჯანისათვის და 1 მილიარდი—სომხეთისათვის.

— **ოზურგეთის რკინის გზა.** ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ოზურგეთის რკინის გზის გამყვან კომიტეტის განკარგულებაში გადასდო 10 მილიარდი მან. რკინის გზის ხარჯების საჭიროებისათვის.

ქალაქის აღმასკომში

— **პოლონელ მოქალაქეების აღწერა.** თბ. აღმასკომმა შინაგან საქ. კომისარიატის განკარგულების თანახმად, დაიწყო პოლონელ მოქალაქეთა აღრიცხვა.

— **ავლაბრის ხიდი.** ამ დღეებში შეუდგებიან პირველ ავლაბრის ხიდის კაპიტალურ შეკეთებას.

— **ჭაობების ამოშრობა.** უკვე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა საბურთალოს ჭაობების ამოსაშრობათ.

— **შუამდგომლობა.** მცირე პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ბაქოს „26 კომუნარის სახელობის მუშათა არტელის" თხოვნა სადარაბო ქირის 50 პროცენტით შემცირების და ჯარიმებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მიიღოს გადაჭრილი ზომები ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ჯანმრთელობის განყოფილებებს დაეგზავნათ საკმაო რიცხვი ვაქცინების ასაცრელათ. ხოლერით ავათ გახდომის შემთხვევა ჯერ არ ყოფილა.

— **აბანოების მოწყობა სოფლად.** გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგოთ ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარულ განყოფილებამ მოაწყო აბანოები შემდეგ ადგილებში: ლუქსემბურგში, თელავში, ცხინვალში, სამტრედიაში, საჩხერეში და ხონში. აგრეთვე ეწყობა—დუშეთში და ახალქალაქში.

— **სანიტარული განათლების სახლი.** ივნისის დამლევს თბილისში გაიხსნება პირველად საქართველოში „ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარული განათლების სახლი": მედიცინის სამუზეუმო გამოფენით, სამკითხველოთი და ბიბლიოთეკით.

— **სამალიარიო კურსების დამთავრება.** თბილისის სამალიარიო სადგურთან არსებული სამალიარიო კურსები დაასრულა 16 ექიმმა.

სხვა და სხვა.

— **ინვალიდების სასარგებლოთ.** სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მუშა მოსამსახურეებმა ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოთ გადასდეს თვიური ხელფასის 1 პროც. სულ 46,482,000 მ.

— **წყალსადენის სადგური წილკანში.** დასრულდა მუშაობა წილკანში წყალსადენის სადგურის ასაგებად. სადგური ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას.

— **გლეხთა ურთიერთი დამხმარე კომიტეტები.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა მოაწყო მარტყოფის და დიღომის რაიონში გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები. ახლო ხანში მოწყობილი იქნება ამგვარათვე კომიტეტები ზემო და დაბლა ავჭალაში, ლილოში და ბევრეთში. ივნისის 15 მთელ რესპუბლიკაში დაგზავნილი იქნება ინსტრუქტორები კომიტეტების მოსაწყობათ.

— **საბარგო ვაგონის გაძარცვა.** 5 ივნისს ქობულეთში ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს საფოსტო მატარებლის საბარგო ვაგონი. მიღებულია სასტიკი ზომები დამნაშავეთა შესაპყრობათ.

— **ხიცხები.** თბილისში უკანასკნელ ხანებში დაიჭირა არაჩვეულებრივი ხიცხები. 6 მაისს იყო შემთხვევა მზით დაშავების.

შეცდომის გასწორება. 7 ივნისს ჩვენი გაზეთის ნომერში (№ 128) დაბეჭდილია: „10 ივნისს მოწვეულია თემების აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობა". უნდა იყოს: „მოწვეულია თემების აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირი, სხვა და სხვა ინსტრუქციების მისაცემად".

შრომის ბირჟაში.

უმუშევრები. 6 მაისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 527 უმუშევარი, ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევრები—113. სამუშაოზე გაიგზავნა 50.

შემთხვევები.

გაქურდვა. კატლიაროვის ქუჩა № 11 გაქურდეს მიკირტიჩ ასლანის ძე ტერ-აბრამოვის ბინა, საიდანაც წაიღეს საოჯახო ნივთები და ტანთსაცმელი.

— ნიკოლოზის ქ. № 43, გაქურდეს ბინა ალექსის ასულ ნაცედერის ბინა, საიდანაც წაღებულია 500 მილ. მანეთის საქონელი.

— თხინვალის ქ. № 5, გაქურდეს ვლადიმერ ნიკოლოზის ძე აზნაუროვის ბინა, საიდანაც 300 მილიონის საქონელი მოიპარეს.

— სასამართლოს ქ. № 4, გაქურდეს ლევან ტერ-არუთინოვი, რომელსაც 100 მილ. ტანთსაცმელი მოჰპარეს.

— პლეხანოვის , № 8, ბოროტ-მოქმედებმა იასონ ივანეს ძე ბერიშვილის ბინიდან, მოჰპარეს 120 მილიონად ღირებული ნივთეულობა.

თავდასხმა. სოფელ ვაშლოვანიდან მომავალ გლეხებს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი, წაართვეს ტანისამოსი, გასაყიდი საქონელი და 30 მილიონი ფული, როგორც გამოირკვა ბოროტ-მოქმედნი არიან სოფ. ასურეთის მცხოვრებნი ვასო, ილია ვარმიშვილები და მიხეილ პრილაშვილი.

თვითმკვლელობა. ბებუთოვის ქ. № 29, თავი დაიხრჩო ელენიდა ვლადიმერის ასულმა ამილახვარმა, მიზეზი გამოურკვეველია.

ხელოვნება

მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის გასტროლები.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის გასტროლები გაიხსნა სოლოგუბის დრამით—„**ყვავილების არშია**". სოლოგუბი ახალი მიმართულების მწერალია, ის ეძებს ახალ გზებს ლიტერატურაში საერთოდ—დრამატიულში, კერძოდ. მისი პიესების საფუძველი არ არის ფაბულა და რთული სინამდვილის განცდები მომქმედ პირთა,—დრამატიულ ნაწარმოების ამ ორ ფაქტორს სოლოგუბი ზერელეთ ეხება, მისი ნაწარმოების ძირითადი იდეა—ტენდენციობაა, მას, თუმცა რბილ ლიტერატურულ ტონებში, თავიდან ბოლომდე ტენდენციოზობა ახასიათებს. მართლადაც რა უბრალოა ფაბულა იმ პიესის, რომელზედაც ეხლა ვლაპარაკობთ. მოქმედება სწარმოებს შორეულ წარსულში, ბატონყმობის წესების დროს რუსეთში, 19 საუკუნის მე-20 წლებში, როდესაც საფრანგეთის დიდ რევოლიუციის გავლენით რუსეთშიც კი გაჩნდა მაშინდელ საუკეთესო ხალხში მისწრაფება ახალი ცხოვრებისაკენ და ადამიანის პიროვნების პატივისცემისაკენ.

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში გაჩნდენ პირველი მებრძოლები თავისუფლებისათვის (დეკაბრისტები) და როდესაც ახალი მისწრაფების საწინააღმდეგოდ უკიდურესობამდი გაძლიერდა რეაქცია და მასთან, რასაკვირველია, ბატონყმობის ფორმებიც

ფაბულის იდეა—ორი მსოფლმხედველობის ანტიპოდების შეჯახება—ერთის მხრივ ახალგაზრდა ჰუმანისტი, რომელსაც საზღვარ გარეთ მიუღია აღზრდა, ალექსი ლოვიცინი, მეორეს—მემამულის ოჯახში აღზრდილა ლიზა ვოროჟეინინა. ახალგაზრდები გატაცებული არიან ერთმანეთით და საცოლოდ და სასიძოდ არიან გამოცხადებული. მაგრამ როდესაც ისინი დაუახლოვდენ ერთმანეთს, დაინახეს, რომ მათ სულიერ იდეალებს შორის გაუვალი უფსკრულია. ალექსი უკიდურესობამდე აღშფოთებულია იმ ბატონყმური წესებით, რომელიც ლიზასა და მისი მშობლების ოჯახში სუფევს,—ლიზას არ ესმის თავის საქმროს ჰუმანიტარული იდეები დ იტანჯება იმის გამო, რომ მისი შეხედულებები არეთანხმება საყვარელ კაცის აზრებს. ალექსი გაკვირვებულია,ის აღშფოთებულია იმით, როგორ შეიძლება ადამიანის ასე დაცინვა, როგორც ამას ადგილი აქვს მისი საცოლის ოჯახში, სადაც ყრმა ახალგაზრდა ქალს იმისთვის სჯიან სასტიკად, რომ... horribile dictu... ის მოეჩვენება ლიზას სიზმარში და არღვევს მის მყუდროებას, ლიზას კი ასეთი მდგომარეობა სრულებით ბუნებრივად ეჩვენება. აი, აზრთა ასეთმა შეუთანხმებლობამ მიიყვანა ახალგაზრდები განშორებამდი. ლიზას კი ღრმად უყვარს ალექსი. მას ჩქარა დაეხოცენ მშობლები და ობლად დარჩა და ის მთელი არსებით გატაცებულია აზრებით თავის საყვარელ და შორს მყოფ ადამიანზე და, რა თქმა უნდა, ამ ღრმა გრძნობის ზეგავლენით მისი მსოფლმხედველობა სრულებით იცვლება. ის უკვე სხვა იდეალებით სცხოვრობს. ის მოსამსახურე ქალებში, ხედავს არა მონებს, არა პირუტყვებს, არამედ ადამიანებს, რომელნიც განათლების უფრო დაბალ საფეხურზე სდგანან, მაგრამ მაინც ადამიანები არიან.

მსოფლ-მხედველობის ასე რადიკალურად შეცვლის უმთავრესი იმპულსი იყო ის გარემოება, რომ ერთერთმა მქარგავმა მოსამსახურე ქალმა—მარფუშამ დაკარგა თვალთა ხედვა; ქალი დაბრმავდა თვალების დაღლის გამო ლიზას მხითევის ქსოვაში ლიზას სხვა იდეები და სხვა აზრები აღელვებენ, მას თავის თავზე სურს გამოსცადოს მართლაც ისე საშინელია მოსამსახურე მქარგავების შრომა თუ არა—და, გატაცებულმა ამ იდეით და გრძნობით, მან გადაწყვიტა მოქარგოს თავის ყოფილ საქმროსათვის ყვავილების არშია—სიტყვიდან ის საქმეზე გადავიდა. მუშაობა დაწყებულია და ის ძალიან დიდხანს გრძელდება—ლიზა თითქმის კარგავს თვალთახედვას. აქ ის უკვე გაიგებს, თუ რა არის ყმის შრომა და რა საშინელებაა მონობა.

ყველაფერი საერთო საკეთილდღეოთ თავდება. ალექსი ბრუნდება მამულში. ხდება ახალი შეხვედრა ჰუმანიტარულ იდეებით გადახალისებულ ახალგაზრდა ქალთან და ბედნიერება აღდგენილია. პიესა დაწერილია იმ ეპოქის მხატვრული ენით, რომელშიაც სწარმოებს მოქმედება.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფანატიკურმა მიმდევრებმა,—სტუდიელებმა, პიესა გაითამაშეს კონცერტიულად. სცენაზე არ არის აქტიორი, არამედ არის ცხოვრება, მართალია ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია—და, რასაკვირველია, მხოლოდ ასეთი ნამდვილად მხატვრულად შესრულების გამო, პიესა საინტერესო მოსასმენია. განსაკუთრებით გამოჩენილი ნიჭი, როგორც გავს, დასში არ არის, მაგრამ საერთო ანსამბლი უეჭველად მხატვრული, მოფიქრებული და დამთავრებულია. ვინ უკეთ თამაშობდა ძნელი სათქმელია. აი თითქოს მოქ. მოლჩანოვისა (ლიზა), მაგრამ ხედავ, მშვენივრად თამაშობს მოქ. ისტრინი (ლიზას მამა—მემამულე), მოქ. ალექსანდროვა (მისი ცოლი) და მოქ. პუზეიროვა,—ყველა მშვენივრად და დამთავრებულად თამაშობენ.

მე ვფიქრობ, რომ სოლოგუბის პიესაში არის ზოგიერთი შეუფერებელი ადგილები. მაგალითად: შესაძლებელია, რომ ადამიანზე დაცინვა იმ საშინელ ეპოქაში ვირტუოზობამდი მისულიყო, მაგრამ გაუგებარია, როგორ შეიძლო ლიზას, რომლის ხასიათსა და მსოფლ მხედველობაში ბატონყმური იდეოლოგია იყო გამჯდარი, როგორ შეიძლო მას ასე რადიკალურად შეეცვლილიყო ჰუმანიზმისაკენ გადახრით.

შემდეგ ალექსის განშორება საცოლესთან დაწერილია უხეშ ტონებში—ეს ნაძალადევია. ახალგაზრდა კაცს მეტად უყვარს საცოლე, როგორ შეიძლება, რომ ის არ შეეცადოს გავლენა მოახდინოს მასზე განშორებამდი.

ყოველ შემთხვევაში სცენიდან ახალი ნიავი ჰქრის.

ძველი.

— **მიხეილ კავსაძის გუნდის სახალხო კონცერტები.** ამ ახლო მომავალში გაიმართება თბილისის ყველა თეატრებში და შემდეგ პროვინციებშიაც მიხეილ კავსაძის გუნდის კონცერტები. გუნდი შესდგება 50 მუშა-მომღერალთაგან და ასრულებს განსაკუთრებით ძველ სახალხო სიმღერებს საქართველოს ყველა კუთხისა.

— **სახალხო სახლი.** ოთხშაბათს, 13 ივნისს, მე-10-ე ტეხნიკუმის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება საღამო კონცერტი. ცნობილ მომღერალ **მ. თარხნიშვილის** ლოტბარობით. კონცერტი შესრულებული იქნება ფართო პროგრამით.

— **ბინა მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდიას.** პროფესიონალურ კავშირების საბჭომ, მოსკოვის სამხ. თეატრის მეორე სტუდიას, რიცხვით 45 კაცს, მუშათა სასახლეში მისცა საერთო საცხოვრებელი ბინა.

— **კინო წარმოება საბჭოთა ფედერაციაში.** საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან კინო-წარმოების შედეგები საბჭოთა ფედერაციაში გამოიხატება შემდეგი სახით: გადაღებულია მთელ რუსეთში—2 სურათი, (ერთი მათგანი უვარგისად იქნა ცნობილი), უკრაინაში 3 სურათი, ხოლო საქართველოში [illegible]

— **ქართველ მსახიობთა ყრილობა.** 11 ივნისს, ტფილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს მსახიობთა ყრილობა.

პროვინციაში

ასკანის თემი (ოზურგეთის მაზრა)

27 მაისს, დასახიჩრებულ (ინვალიდთა) მეომართა სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა-კონცერტი, რომლის წმინდა შემოსავალი გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

ამავე დღეს წარმოდგენა-კონცერტის დაწყებამდე, ადგილობრივ სახალხო სახლის დარბაზში შესდგა ასკანის კულტ. განმანათლ. საზოგადოების საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა მასწავლ. ვალ. ჯაველიძე, მდივნობდა პატრიკი თალაკვაძე.

დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) შემოსავალ-გასავალის განხილვა-დამტკიცება, 4) წევრთა მიღება, 5) საწევრო გადასახადის შესახებ, 6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 7) ავთანდილ შარაშიძის ბენეფისის შესახებ.

კრებამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის სოლ. ჭეიშვილის მოხსენება გასული 1922 წლის მუშაობის შესახებ კრება კმაყოფილებას გამოსთქვამს და მადლობას უცხადებს გამგეობას ენერგიული მუშაობისთვის. კრება აგრეთვე მადლობას უცხადებს სოლ. ჭეიშვილს, მისი ხარჯით საზოგადოების ბეჭდის შეძენისათვის.

შემოსავალ-გასავალის ანგარიში კრებამ მოისმინა და დაამტკიცა. ძმ. ქუთათელაძეებისაგან დაპირებულ შემოწირულების შესახებ კრების უმრავლესობა მოითხოვს ეს საკითხი გაშუქებულ იქნას მომავალ მორიგ სათემო-კრებაზედ.

ახალ წევრებად იქნენ მიღებულნი: შ. ცქვიტინიძე, გაბ. ინწკირველი, ვენდ. ინწკირველი ფუნ. ჩხაიძე და ვას. თალაკვაძე.

საწევრო გადასახადის რაოდენობა კრებამ 50,000 მანეთით განსაზღვრა.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ს. ჭეიშვილი, მ. სიამაიშვილი, პლ. ასათიანი, ნ. ნინიძე, შ. ცქვიტინიძე, ს. ხიტირი და ლ. სოსელია; სარევიზიო კომისიაში: გაბ. ინწკირველი, კალ. ცქვიტინიძე და ვალ. ჯაველიძე.

ავთ. შარაშიძის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ კრება წინადადებას აძლევს გამგეობას, გაუმართოს საბენეფისო წარმოდგენა და ხელი შეუწყოს მის კარგად ჩატარებას.

31 მაისს, კ. გ. საზ. გამგეობამ მოიწვია სცენის მოყვარეები დრამატიული დასის შესადგენად. იქნა არჩეული და განაწილებული სამუშაო ფუნქციები (სუფლიორი, სცენარიუსი, დეკორატორი და სხვ.). რეჟისორობას გასწევს მოქ. ავთანდილ შარაშიძე.

კამათი გამოიწვია სცენის მოყვარეებისთვის ჯილდოს მიცემის საკითხმა. გადაწყდა: შემოსავლის 67 პროცენტი გადაიღოს სცენის მოყვარეებისთვის და 33 პროცენტი კ—კ. გ. საზოგადოებისთვის.

სეზონი გაიხსნა ა. წ. 10 ივნისს. დაიდგმება პირველად ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გრ. საქარიქელის მიერ გადმოკეთებული 4 მოქ. დრამა „მოსე მწერალი".

ასკანის 8 წლ. შრ. სკოლის პედაგოგიური საბჭო უღრმეს მადლობას უცხადებს ბახვის 8 წლ. შრ. სკოლის გამგეს ს. ჩიტაიშვილს, რომელმაც უფასოდ დაუთმო ასკანის სკოლის საბავშვო ბაღს ბევრი სხვა და სხვა მცენარეების ნერგები.

პრ. ასკანელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— პარასკევს დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში დანიშნულია კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრალურ ბიუროს მორიგი სხდომა.

მოწვეული არიან: ამხ. ამხ. კანდელაკი, მარ. ორახელაშვილი, ბუაჩიძე, შუშანია, მეთონიძე, ყრუაშვილი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცეკას წარმომადგენლები. ყველას დასწრება მეტად საჭიროა.

დღის წესრიგი: 1. ცენტრალურ ბიუროს შემდეგი მუშაობის შესახებ.
2. მიმდინარე საქმეები.

ცენტრ. ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ სტეპანოვი.

პროფესიონალური.

— შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე—ხრისტოლიუბოვის მოხსენება: „მასწავლებელთა მომზადება და ხელმეორე მომზადება".

განცხადებები

პირველი სახელმწიფო კონსერვატორია.
შაბათს 9 ივნისს კონსერვატორიის მოწაფეთა ძალებით დადგმული იქნება საკონცერტო შესრულებით.
1. იოლანტა
ოპ. ჩაიკოვსკისა.
რუსულ ვოკალურ ანსამბლის პროფეს. ივ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.
2. აბესალომ და ეთერი.
მუს. ზ. პ. ფალიაშვილისა. მე-4 აქტი. ქართულ ვოკალურ ანსამბლის პროფ. ზ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.
ბილ. ფასი: 1.200.000 მ.—200.000 მან. ბილ. იყიდება კონსერვატორიაში.
დილ. 10 ს. 2 ნახევარ ს. საღ. 5 ს. 8 საათამდე.
დასაწყისი 8½ საათზე.
№ 769 1—1

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიული განყოფ.
გადავიდა
რუსთაველის პროსპექტზე № 27.
ყოფილი ევროპიული ნომრები, სახელმწიფო ოპერის გვერდით.
3—1

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—19)

თბილისის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო
იწვევს იაგორ პეტრეს ძე პანტურიძეს თვის კამერაში—სურბ-კარაპეტის შესახვევი № 3, როგორც მოპასუხეს ვასილ ჩიქოვანის ძიების გამო მისგან 734 ფუთი მატყლის შესახებ, ორი თვის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა.
776 1—1 სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

დავკარგე დროებითი სიმწიფის მოწმობა მიღებული სამტრედიის ტეხნიკუმის გამგისგან № 520. ალექსანდრე ოქროპირის ძე ტორონჯაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 575 სატელეფონო ქსელის თანამშრომლის ევგენია ანანიევისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე 1922 წლის წიგნი საბინაო დავთარი ალექსანდრა ლომიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მიცემული წნორის-წყალის რევკომიდან სერაფიონ გევორქოვის და მისი ბავშვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 773 1—1.

დავკარგე უვადო პასპორტი № 3, რომელიც გაცემულია რუშან-ვენდის სასოფლო სამმართველოს მიერ სტეფანე სერგეევის (სერგიანც) და სირანუშ სერგიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 6.000

გაზ. „ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კრუზენშტეინის ქუჩა № 4.